პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ბრძოლის ხმა

1937 წ. მაისი
პარიზი
N° 71
1937 — MAI
Paris

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ცენტრალური კომიტეტისა ⁝ «L' ECHO DE LA LUTTE» — Revue mensuelle duParti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

26 მაისი

კიდევ ერთ 26 მაისს, საქართველოს ისტორიის ამ უდიდეს თარიღს, ქართველი ერი ეგებება დატყვევებული, ეროვნულად დამონებული და სოციალურ პოლიტიკურად დაბეჩავებული.

26 მაისი არის ქართველი ერის მკვდრეთით აღდგომის დღე; ამ დღეს ქართველმა ერმა დაამსხვრია 120 წლის მანძილზე გაგრძელებული ეროვნულ ტყეობის ბორკილები და დასწერა თავისი ახალი ისტორიის პირველი ფურცელი.

26 მაისი არ არის ჩვენი ისტორიის შემთხვევითი ეპიზოდი, ციდან ანაზდეულად გადმოვარდნილი წყალობა,—იგია ქართველი ხალხის ეროვნულ-კულტურული და ეკონომიურ-პოლიტიკური ზრდისა და განვითარების ლოღიკური დასკვნა; იგი უჩინრად და უხმაუროდ მზადდებოდა რამდენიმე ათეულ წლების განმავლობაში.

ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში შემოჭრილმა ახალმა სამეურნეო ურთიერთობამ ახალი გზები აუსახა ქართველი ხალხის ეროვნულ და კულტურულ განვითარებას. თანდათანობით დაინგრენ ჩინეთის კედლები, წაიშალენ მიჯნები, ჩვენს ქვეყანას კარჩაკეტილ ნაწილებად რომ ყოფდენ. ცხოვრების ასპარეზზე ახალი ძალები გამოჩდენ. დაბეჩავებულმა გლეხმა და გაყვლეფილმა მუშამ წერა-კითხვა ისწავლეს, ცხოვრების ახალ მოთხოვნილებებს ეზიარენ, კულტურულ და პოლიტიკურ საქმიანობის ფერხულში ჩაებენ. ქართველი ერი—ჩვენი პარტიის დამაარსებლისა და უცვლელი ბელადის მხატვრული გამოთქმით—«შეება საერთო უღელში, შეეჩვია ერთად ცხოვრებას, ერთად მოღვაწეობას; მომზადდა ნიადაგი გონებრივი ერთობისა; ქართველობა ერთი ყელსაბმელით შებორკილი, ერთი ჯაჭვით შემოჯაჭვული, ფხიზლდება, სალი გონებით და მახვილი თვალით იხედება».

ქართველი ხალხი გაერთიანდა საერთო სამშობლოს ფარგლებში და თავისი საყვარელი მგოსნის ტკბილი ენით გვიმღერა, რომ

«ქართლ-კახეთი, იმერეთი,
გურია და სამეგრელო,—
ყველა ჩემი სამშობლოა,
საყვარელი საქართველო».

იმ დროსაც ეს «საყვარელი საქართველო» უცხო ტყვეობაში იყო და «ქართველობა ერთი ყელსაბმელით შებორკილი» უცდიდა შესაფერ მომენტს, რათა უცხო უღელი უკუეგდო და თავისი ბატონ-პატრონი, თავისი სვე-ბედის გამგები თვითონ გამხდარიყო. მაგრამ ეს ცდა იყო არა პასიური, სხვის სურვილზე და ნებაყოფლობაზე დამყარებული, არამედ თვითონ ქართველობა იღებდა აქტიურ მონაწილეობას ამ შესაფერ მომენტის მოახლოვებაში.

ეს მომენტიც დადგა. ცხრამეტი წლის წინეთ, 26 მაისს ქართველმა ხალხმა შეიხსნა ეროვნული ბორკილები და თავისი თავი გამოაცხადა სუვერენულ ერად. ამით მან საქვეყნოთ განაცხადა, რომ იგი არის არა მარტო ერთ ტერიტორიაზე მობინადრე ერთი გვარტომობის ხალხი, არამედ იმავე დროს ერთი ერიც მტკიცე ეროვნული შეგნებითა და საერთო ეროვნული ინტერესებით.

26 მაისი არის ქართველი ხალხის ეროვნულ სიმწიფის მოწმობა; იგი უტყუარი მაჩვენებელია იმის, რომ ქართველმა ხალხმა თავისთავი ერთ მთლიან ერად შეიცნო და მისი უდიდესი მნიშვნელობაც სწორედ ამაშია.

მართალია, ამით არ ამოწურულა ჩვენი ქვეყნის ბედის უკუღმართობანი; მას ერთხელ კიდევ დაეპატრონა უცხო ძალა, სასტიკი მტერი, რომელიც ამაოდ ცდილობს მისი მტკიცე ეროვნულ ნებისყოფის გატეხას, მის დაძაბუნებას. მაგრამ ეს ოდნავადაც არ ამცირებს ამ ისტორიულ თარიღის ბრწყინვალე მნიშვნელობას,—პირიქით, ჩვენი ქვეყნის ამ მკაცრ ტყვეობის ხანაში 26 მაისის მნიშვნელობა კიდევ უფრო დიდია: იგი გადაიქცა მებრძოლ საქართველოს დროშად, რომლის ირგვლივ თავს იყრიან ქართველი ერის ყველა სასიცოცხლო ძალები; თვითეულს ცალკე და ყველას ერთად ეს დროშა უძღვის წინ, უსკეცებს გამარჯვების იმედებს და უნათებს ბრძოლის გზებს. ამ დროშის ასე გაზრდილი მნიშვნელობა და მისი გამაერთიანებელი ძალა უტყუარი თავდებია მოახლოვებული გამარჯვების.

ახლა უკვე ყველასათვის ცხადია, რომ დრო მუშაობს 26 მაისისათვის, მტრის ბანაკში არევ-დარევა შეიჭრა; გუშინდელი მეგობრები დღეს ერთი მეორეს ჭამენ, სისხლიანი ტირანები რიგრიგობით ხდებიან მსხვერპლი მათ მიერვე შექმნილ სისხლიანი რეჟიმისა; მონოლიტური კომუნისტური პარტია გაიხრწნა და შეირყა. ყოვლად შემძლე «გეპეუ»-ში მოღალატენი და გამცემლები ბუდობენ; გუშინდელი მისი მეთაური იაგოდა დატუსაღებულია და ალბად იმავე სარდაფში დალევს სულს, სადაც იგი ცინიკური გულგრილობით ასალმებდა წუთისოფელს საშინელ კოშმარად ქცეულ დიქტატურის მტრებს. წითელი არმია უცხო სახელმწიფოთა აგენტების სათარეშო მოედნად არის გადაქცეული. მტერი, გახრწნილი და გატეხილი მორალურად, იმსხვრევა ფიზიკურადაც.

დატყვევებულ სამშობლოს ცაზე უკვე ჩანან 26 მაისის პირველი სხივები; მისი საბოლოო გამარჯვება ახლო მომავლის საკითხია.

ჩიხში

საბჭოთა მთავრობა, მისი მთელი საბატონო სისტემა მომწყვდეულია გაუვალ ჩიხში. ეს გვაცნობა თვითონ სტალინმა თავის სამი მარტის სიტყვაში და შეეცადა მისი მალამოს მოძებნა. მან ჯერ დაახასიათა მდგომარეობა და შემდეგ შეუდგა მის შეკეთებას.

როგორია მდგომარეობა? სტალინის დაფეთებული სიტყვის ნახევარი მაინც რომ დავიჯეროთ, მდგომარეობა მეტათ კრიტიკულია. მართველობის მთელი აპარატი დაბლიდან მაღლა და მაღლიდან დაბლა მომწყვდეულია საბჭოთა ორგულთა ხელში, რომელნიც მუშაობენ წყობილების დასანგრევეთ შიგნიდან. მათ ჩამოუფარებიათ ბოლშევიკის პირბადე, თავს დებენ პარტიულობაში, ხოლო ნამდვილათ კი არიან პროვოკატორები, ჯაშუშები, საბოტაჟნიკები და სხვა ამგვარი სამკაულის მატარებელნი. ეს კიდევ არაფერი, უბედურობა იმაშია, რომ მათი გამორჩევა სალი ელემენტებისაგან, მათი გამოცნობა და გამოყოფა დიდათ საძნელო საქმეა. მტერი არის ირგვლივ, ის ყოველგანაა, ხოლო დანახვა კი ძნელია. აქედან დაიბადა შიშიანობა, დაბნეულობა, საფრთხის გაზვიადება, დაიბადა სტალინის სიტყვა, სიტყვა ერთობ პრიმიტიული, ზურგიელიძისებური, ნათელ აზრს მოკლებული, უგზო-უკლოთ აწყობილი.

რას ეყრდნობა სტალინი? თუკი სახელმწიფო და პარტიული აპარატები ასე დასნეულებულია, ცხადია ვინმე საღმა ერთეულმა უნდა იტვირთოს მათი განკურნება. სტალინის კრიტიკის გარეშე დარჩა ერთათ-ერთი გეპეუ, რომელიც მოწოდებულია მისი საექიმო რეცეპტები განახორციელოს. მაგრამ შემდეგ მოხდა თვით ამ სიმაგრის რღვევა, მისი მეციხოვნების დაფერთხა, მთელი ამ აპარატის საეჭვოთ გამოცხადება. მოიშალა ეს ერთათ-ერთი დასაყრდნობი ფუძეც. საბჭოთა ტერორისტული რეჟიმი დღეს ჰაერში გამოკიდულია; მას არ ყავს ერთგული დამცველი ორგანოები; რღვევის მატლი ყოველგან ჩამჯდარია და წყობილების ფესვებს შეუმჩნევლათ ღრღნის. აი ასეთ მდგომარეობაში რეჟიმის მთავარი ხუროთ-მოძღვარი, სტალინი, იძლევა მჭლე წამლობას, უფრო თავის მოსატყუებელს, თავის მანუგეშებელს, ვინემ რეალური ძალის მქონებელს. მისი აზრით, საკმარისია კომუნისტების «სიფხიზლე», რომ ჭირი მოისპოს და კრემლის ბატონობა გაგრძელდეს. ეს რეცეპტი მას ჯერ კიდევ შარშან ივლისში დაუგზავნია პარტიული ორგანოებისათვის და მათთვის დაუვალებია «ფხიზლათ ყოფნა». ნაყოფი კი უარყოფითია. სწორეთ მას შემდეგ რღვევის პროცესი გაძლიერდა და მთელ კავშირს კიდისკიდემდე მოსდვა. სტალინი თავს ინუგეშებს, პარტიულები გაიტაცა ეკონომიურ აღმშენებლობამ, დაივიწყეს პოლიტიკაო. ამ ნაკლის შესავსებლათ ის ითხოვს დაარსებას «კურსების პარტიის ისტორიის და პოლიტიკის შესახებ». ასე ჩამოახურდავა საბჭოთა რეჟიმის ყოფნაარყოფნის პრობლემა!

ერთი სიტყვით, სიფხიზლე და კურსები—აი უკანასკნელი სიტყვა რუსეთის დიქტატორის ძალაუფლების შესარჩენათ. სჯერა ეს მას და მის ირგვლივ თავმოყრილთ? საეჭვოა, ხოლო პარტიულ თუ უპარტიო მასას რომ არ სჯერა—ეს უდაოა. რაც უფრო კრემლიდან შორს დგანან, მით უფრო ახლოს დგანან ხალხთან, რეალურ ურთიერთობასა და მდგომარეობასან. ის უკმაყოფილება, რომელიც ასე ანგრევს მაღლა ბატონებს, მოდის ქვემოდან, ხალხის გულიდან, ედება პირველ ყოვლისა მოსაზღვრე ფენებს და მათი საშუალებით აღწევს შორეულ ფენებსაც. მაშასადამე დამპალია საძირკველი, ამიტომ ყოველივე ცდა მასზე მაგარი კედლების აშენებისა დაკარგული შრომაა. იდეოლოგიური მომენტი ამ სინამდვილეს ვერ შესცვლის; «სიფხიზლე» და «კურსები» წყალწაღებულის ხავსია. სტალინს ღრმა ანალიზს ვერ მოვსთხოვთ, მაგრამ არც ერთი მისი საჯარო გამოსვლა არ ყოფილა ისეთი უმწეო და მჭლე, როგორიცაა სამი მარტის გამოსვლა. მან ქვეყანა დააფრთხო, ვილუპებითო, ხოლო გამოსავალათ კი ჩიტირეკიული წინადადება წამოუყენა. ასე ყოფილა მუდამ. განწირული წყობილების მეთაურნი დალახვრულია დაბრმავებით, მხედველობის წართმევით და იძულებულია იხრაკოს თავისავე წვენში, სანამ ნამდვილი ძალა არ მოვა და მათ მათრახებით გარეკს.

ასეთი ძალა მოიპოვება საბჭოთა კავშირშიაც. ამას აქვს ორი სახე. ერთია ორგანიზაციულათ აწყობილი, თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული—მხედრობა; მეორეა უორგანიზაციო, დაქსაქსული, გაჭირებული—ხალხი. კრემლი ცდილობს იყოს დამოუკიდებელი ამ ორივე ძალისაგან, განაგრძოს არსებობა და ბატონობა ძველებურათ, თავის თავზე, თავის ორგანოებზე დაყრდნობით. მაგრამ რაკი ეს ბოძი მას გამოეცალა, მისივე ორგანოები მის წინააღმდეგ მიდიან, რაღა რჩება მას თუ არა ერთათ ერთი ძველებური სურვილი, ძველი ინერციული პსიხოლოგია, რეალურ ბაზას მოკლებული. ადამიანის სიდიადე გაჭირებაში გამოჩნდება. კრემლის ხელხი გამოჩნდენ კაცუნებათ, თავისი პატივმოყვარეობის დაუხსნელ ტყვეებათ. ისინი ვერ ხედავენ, არ სურთ დაინახონ, რომ გახდენ სავსებით დამოკიდებულნი სამხედრო ორგანიზაციაზე, სადაც მათივე სიტყვით ბუდობენ ფაშისტები, კომუნიზმის აშკარა მტრები, უცხო სახელმწიფოს აგენტები. ამათ შორის სხვა და სხვა ქალაქებში შეთქმულებიც კი აღმოაჩინეს, მრავალი ოფიცერი დაიჭირეს და დახვრიტეს; ესე იგი ეს ორგანოც ისევე მოკლებულია პოლიტიკურ საიმედოობას, როგორც ყველა დანარჩენნი; მიუხედავათ ამისა სტალინი იძულებულია მას ჩამოეკიდოს, მის წინაშე დაიჩოქოს და ამავე დროს თავისთავი და სხვა აჯეროს—მის სამეფოში არაფერი შეცვლილა, ძალაუფლება ძველებურათ ხელთ უპყრია.

შეიცვალა, დიდათ შეიცვალა, მათი დრო გათავდა, ისტორიის მასალათ ხდებიან, არქივში გადადიან. დღეს ვიმყოფებით ამ გადასვლის პროცესში; ჩვენთვის ამ ჟამათ საჭირბოროტო საკითხია ამ პროცესის დაბოლოვების მსვლელობა. ვინ იქნება მისი მომდევნო, საბჭოთა ტირანიის მემკვიდრე. იქნება იგივე ტირანია, მხოლოდ მარჯვნიდან, რუსის ღენერალის მეთაურობით თუ ის შეიცვლება თავისუფლებით, ხალხთა და ერთა სუვერენობით? განწირულნი ამ დილემას ვერ ხედავენ; ჩიხში მომწყვდეულნი გამოსავალს ეძებენ აშკარა უტოპიაში, იმავე ფარგალში გადაჯდომ-გადმოჯდომით, ერთის დაჭირვით, მეორის, ხვალ დასაჭირავის, მოწვევით, დაუსრულებელი ტკეპნით ერთი და იმავე მიმავალი ნიადაგის. სინამდვილეში, ფაქტიურათ მთელი თავის მოქმედებით ხელს უწყობენ მარჯვენა ტირანიის გამარჯვებას, სამხედრო გადატრიალების ნიადაგის მომზადებას, ზოგი შეგნებულათ, ზოგი სიბრიყვით, თავის მიერ შეთხზული უტოპიებით. დრომოჭმულ რეჟიმს დრომოჭმული ხალხი მეთაურობს..

ორი ინტერნაციონალის მოწოდება

სოციალისტურმა ინტერნაციონალმა პირველი მაისისათვის მიმართა მთელი ქვეყნის მუშებს ვრცელი მოწოდებით, რომლის მთავარი შინაარსი შემდეგია:

ამ საზეიმო დღისათვის სოციალისტური ინტერნაციონალის აზრები და იმედები მიპყრობილია ისპანეთის მუშების და რესპუბლიკანელების გმირულ ბრძოლისაკენ.

როცა ერთი ერი იბრძვის თავის ეკონომიურ და პოლიტიკურ განთავისუფლებისათვის მისი საქმე ყველა ერთა საქმეთ ხდება, მისი გამარჯვება, თუ დამარცხება სხვების ბედზედაც დიდ გავლენას ახდენს. ეს ჭეშმარიტება, რომელსაც სოც. ინტერნაციონალი მუდამ მოგვაგონებდა, არასოდეს არ ყოფილა ისე ნათელი, როგორც ის დღეს არის: გაერთიანებულ ფაშისტთა უხეში ინტერვენცია, რომელიც აშკარა თავდასხმათ გადაიქცა და ლამის არის ისპანიის გენერლების აჯანყება საერთაშორისო ომათ აქციოს, ნათელყოფს დემოკრატიის და ფაშიზმის შორის ბრძოლის საერთაშორისო ხასიათს.

ვის შეუძლია აწი დაეყრდნოს თავის ქვეყნის პოლიტიკურ იზოლიაციას და ჩასთვალოს თავის თავი უზრუნველყოფილათ, როცა მისი მეზობლის სახლი იწვის? კაპიტალისტური საზოგადოების განვითარებამ გაარღვია ნაციონალური ჩარჩოები და ის, რასაც დღეს ჩვენ განვიცდით, მოწმობს ჩვენი ბედის საერთაშორისო მდგომარეობასთან დაკავშირებას.

რეაქციონურ ნაციონალიზმის ვიწრო შეხედულებებს მუშათა კლასი, ისტორიულ ასპარეზზე მისი გამოსვლიდგანვე, მუდამ უპირდაპირებდა მშვიდობიანობაში და თანხმობაში ხალხთა ინტერნაციონალურ თანამშრომლობის შემომქმედ იდეას.

ნაციონალიზმს, ომის წყაროს, მუშათა კლასი უპირდაპირებს მშვიდობიანობის ორგანიზაციას მაგარი და აქტიური ერთა ლიგის სახით, თვით ერთა ლიგა კი განთავისუფლებულ უნდა იქნას იმ დაბრკოლებებისაგან, რომელნიც დღეს მას ხელს უშლიან საერთაშორისო უფლების ცხოვრებაში განხორციელებას.

ნაციონალურ იზოლიაციას, რომელიც ყველაზე უფრო სუსტს აგრესორის თვითნებობის მსხვერპლათ ხდის, მუშათა კლასი უპირდაპირებს კოლექტიურ უზრუნველყოფას, რომელიც ყველასი შეერთებული ძალებით ყველას იცავს, ფაშიზმს კი ის უპირდაპირებს თავისუფლების მთლიან ძალებს, გაერთიანებულს და მიზანშეწონილათ მიმართულს მუშათა კლასის მიერ.

ისპანიაში სისხლიან ბრძოლების დაწყებისთანავე სოციალისტური ინტერნაციონალი ამ პრინციპებით ხელმძღვანელობდა. ის ეხლაც მოუწოდებს ყველა ქვეყნის მუშებს ეს პრინციპები დაუდოს საფუძვლათ იმ კამპანიას, რომელიც დღევანდელ პირობებში წარმოებულ უნდა იქნას.

ინტერნაციონალი მიმართავს ისპანიის მუშებს და იქ მებრძოლ უცხოელ მოხალისეთ, უცხადებს მათ ძმურ სოლიდარობას და აღტაცებას გამოსთქვამს მათი გმირული ბრძოლის წინაშე; ყველა ქვეყნის მუშებს კი საერთოთ მოაგონებს, რომ ისპანიაში წყდება მათი თავისუფლების ბედიც, ამ ბრძოლის შედეგიდან ბევრათ არის დამოკიდებული მსოფლიო დემოკრატიის დასუსტება, თუ მისი წინსვლა და გამაგრება, და მოუწოდებს მათ აღმოუჩინონ ისპანიის მებრძოლთ პოლიტიკური, მორალური და მატერიალური დახმარება.

მოწოდება თავდება ლოზუნგით:
გაუმარჯოს თავისუფალ ისპანიას!
გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალიზმს!

⁂

ყველა ქვეყნების მუშებს მიმართავს აგრეთვე სინდიკატების საერთაშორისო ფედერაცია მოწოდებით, რომელშიდაც ის მათ მოაგონებს, რომ მშრომელი მასები გვერდით უდგიათ ისპანელ ამხანაგებს, რომელნიც თითქმის ერთი წლის განმავლობაში აწარმოებენ გმირულ ბრძოლას გენერალ ფრანკოს რეაქციონურ ძალების და მათ დამხმარე ფაშისტურ სახელმწიფოების წინააღმდეგ.

სინდიკატების საერთაშორისო ფედერაცია მოუწოდებს მუშებს პირველ მაისს მოახდინონ მანიფესტაცია იმავე იდეალების და მოთხოვნილებებისათვის, რომლისათვის იბრძვის და ამდენი მსხვერპლი მიაქვს ისპანეთის მუშათა კლასს, ადამიანის უფლებისათვის, ადამიანის ღირსებისათვის და იმ სოციალური წესწყობილებისათვის, რომელიც დაყრდნობილი იქნება უფლებაზე, თავისუფლებაზე და დემოკრატიაზე. ამ დღეს მუშათა შეუდრეკელ ნებისყოფამ უნდა გამოაღვიძოს საყოველთაოთ საზოგადოებრივი აზრი და გადააქციოს ის კულტურული კაცობრივობის პროტესტათ ფაშიზმის წინააღმდეგ.

მუშებმა პირველ მაისს უნდა მოითხოვონ აგრეთვე დღევანდელი საზოგადოების ძირითადი გარდაქმნა, ცხოვრების საერთო დონის ამაღლება და ყოველგან კვირაში 40 საათის მუშაობის შემოღება.

წერილი საქართველოდან

აქაური, ეგრედ წოდებული, ტროცკისტების დატუსაღება ბუდუ მდივანის მეთაურობით თქვენ უკვე იცით. დატუსაღებული იყო კიდევ ორმოცამდე კომუნისტი, მაგრამ უკანასკნელ დღეებში მოსკოვიდან მოვიდა ბრძანება დატუსაღებების შეჩერებისა; ახლა ვტყობილობთ, რომ ამ განკარგულების მთავარი ავტორი ყოფილა ორჯონიკიძე, რომელსაც სტალინის ჩუმათ მოუხერხებია ბრძანების გამოგზავნა და სტალინი ამნაირად დაუყენებია ფაქტის წინაშე.

მოსალოდნელი იყო დატყვევებულთა წინაამდეგ გაიმართებოდა კამპანია, როგორც ეს ჩვეულებად აქვს ხელისუფლებას. ეს კიდევაც დაიწყეს: თებერვლის პირველ რიცხვებში გამოქონდათ რეზოლიუციები და ითხოვდენ ყველა «ტროცკისტების» განადგურებას, მაგრამ ეგ რეზოლიუციები გაზეთებში არ იბეჭდებოდა,—უეჭველია ელოდენ დირექტივებს მოსკოვიდან. უეცრად ეს პროტესტებიც შეწყდა. როგორ მოხდა ეს,—კარგად არავინ უწყის. ესეც ორჯონიკიძის გავლენას მიაწერეს, თუმცა კომუნისტურ წრეებში ეს საეჭვოთ მიაჩნიათ. გამოძიება დატყვევებულთა შესახებ წარმოებს მეტად საიდუმლოთ, დღემდე არ გამოცხადებულა არაფერი ოფიციალური ცნობა ამის შესახებ, ამიტომ აქ ყოველნაირი მითქმა მოთქმაა; გამოძიება სწარმოებს ბერიას პირდაპირი ხელმძღვანელობით და დაკითხვის ოქმები დაუყონებლივ იგზავნება მოსკოვში. აქ გავრცელდა ხმა, რომ ს. ქავთარაძე ყველაფერში გამოტყდა და ვითომ გასცა ის ამხანაგები, რომელნიც სტალინის და ბერიას მოკვლას აწყობდენ, მაგრამ საკვირველია ის, რომ დატუსაღებული ამ ჩვენებასთან დაკავშირებით არავინაა, ამიტომ ვფიქრობთ, რომ ასეთი ჩვენება ქავთარაძეს არ მიუცია.

ახლა ირკვევა, რომ პროცესიც არავითარი არ იქნება და დატუსაღებულნი პოლიციური წესით იქნებიან გაგზავნილი სალოვკებში; ეს ნიშნავს იმას, რომ დატყვევებულებისაგან ვერავითარი მასალა ვერ მიიღეს პროცესისათვის, ესე იგი ვერ გატეხეს და ხელი ვერ მოაწერეს მათ წინაამდეგ შეთხზულ ბრალდებებზე.

ორჯონიკიძის უეცარ სიკვდილმა გამოიწვია ხალხში მრავალგვარი მითქმა-მოთქმა; ამბობდენ, რომ ორჯონიკიძე დაეტაკა ეჟოვს და სტალინს ქართველ კომუნისტების დაცვის ნიადაგზე, რის გამო ის იქნა მოკლულიო. სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, რომ ეს ხმები მოკლებულია სიმართლეს; იგი მართლაც ავად იყო გულის სისუსტით და ამით აიხსნება მისი უეცარი გარდაცვალება, მაგრამ ფაქტია ის, რომ უკანასკნელ დროს მას ქონდა ხშირი შეტაკება სტალინთან და ამან დააჩქარა მისი ავადმყოფი გულის კატასტროფა. ხოლო შეტაკებები ქონებია არა ქართველ ბოლშევიკების გამო, არამედ ის ყოფილა წინაამდეგი სტალინის ზოგიერთი ახალი დანიშვნების წინაამდეგ, განსაკუთრებით არ ურიგდებოდა ეჟოვის დანიშვნას ასე დიდ თანამდებობაზე; ის ეჟოვს უწოდებდა სტალინის უნიჭო ლაქიას, საშინელ ინტრიგანს და საძაგელ ადამიანს.

აქ ბევრს ლაპარაკობენ ახალ ნაციონალურ პოლიტიკაზე. ჩვენის აზრით, ჩვენ საქმე გვაქვს არა მართლა ახალ ნაციონალურ პოლიტიკასთან, არამედ ახალ ტაქტიკასთან, ახალ მეთოდებთან ძველი პოლიტიკის გასატარებლად, ხოლო ეს პოლიტიკა მდგომარეობს უმთავრესად იმაში, რომ გაამაგროს ძალაუფლება კომუნისტური მაღლა ფენების. როგორც იცით საბჭოთა ხელისუფლება აქნამდე ემყარებოდა მხოლოდ გეპეუს, პარტიას და არმიას. ახლა ირკვევა, რომ ყველა ეს საფუძველი შეირყა; კომუნისტური პარტია ირღვევა, იმაში აღმოჩდა იმდენი «უკლონები» და ოპოზიციური ჯგუფები, რომ ძალიან ძნელი შეიქნა მათი გამორკვევა. ძველი ბოლშევიკები ან განადგურებულნი არიან, ან მოკლებულნი არიან ყოველივე გავლენას; კომუნისტური ახალგაზდობა არ ხელმძღვანელობს რაიმე კეთილშობილური იდეალებით,—იგი ოცნებობს კარიერაზე და თუ ის ვერ მოიპოვა, გადადის ოპოზიციაში. ხშირია ჩუმად მოკვლა დიდი ბობოლა კომუნისტის იმ მიზნით, რომ მისი ადგილი დაიჭიროს მეორე კომუნისტმა. ბრძოლა ადგილებისათვის აქ ისეთივე მწვავეა კომუნისტთა შორის, როგორც მოსკოვში.

«გეპეუ»-შიაც საქმეები არ უნდა იყოს რიგზე*); ამბობენ, რომ «გეპეუ»-ში სრული არევ-დარევაა,—იქ აღმოჩდენ უცხო სახელმწიფო ჯაშუშებიც კი. რაც შეეხება წითელ ჯარს, ხელმძღვანელთა შორისაც ყველაფერი რიგზე არ უნდა იყოს; დანამდვილებით ამბობენ, რომ აღმოაჩინეს მათ შორის დიდი ფაშისტური შეთქმულობა, რომელიც ეწყობოდა ერთი უცხო სახელმწიფოს სუბსიდიებით. ამას მიუმატეთ ეგრედ წოდებული «ვრედიტელსტვო», რაიცა გამეფებულია ყველა სამეურნეო დარგებში. ყველა ამ მიზეზების გამო მოსკოვის ხელისუფლება ახლა ეძებს ახალ საფუძველს, რაზედაც შეეძლოს დამყარება. ასეთ საფუძვლად ამ ჟამად გამოცხადებულია ნაციონალური გრძნობების გაღვივება ხალხში; დღიურ ლოზუნგებად წამოყენებულია სამშობლო და მშობლიური კულტურა. არ ვიცი ეგ ლოზუნგები რა შედეგებს იძლევიან სხვა ნაციონალურ რესპუბლიკებში, მაგრამ აქ—საქართველოში—ის შემდეგ შედეგებს იძლევა: ეს საქმე დაიწყო ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმებით; საქართველო გამოცხადდა ცალკე ერთეულად, რომელიც პირდაპირ შედის კავშირში. ამის შემდეგ ხელისუფლება ცდილობს ხალხის ყურადღება მიაქციოს ქართული კულტურისაკენ. მან მოახდინა რეაბილიტაცია ძველი, დიდი ხანია გადაცვლილ ქართველ მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეებისა. დაიწყო გამოცემა ძველი თხზულებების და მემუარების, გამართვა იუბილეების და სხვა. ყველა ეს ზომა ქართველის გულს ახარებს, მაგრამ იქნება დიდი შეცდომა იფიქროთ, რომ ეს ახდენს რაიმე გადატეხას ხალხში საოკუპაციო ხელისუფლების სასარგებლოდ. გლეხობა და მუშა ხალხი ყველა ამას უყურებს სრულიად გულგრილად, რადგანაც მას არავითარი ნდობა არა აქვს ხელისუფლების და ის, რაც ხდება ამ მხრით, მიაჩნია მორიგ მანევრად. სულ სხვანაირად შეხვდა ამ ახალ პოლიტიკას ჩვენი ინტელიგენცია; მას გაეხსნა მუშაობის ფართე ასპარეზი, რაც გახდა მისთვის დიდათ სასარგებლო. მისი ეკონომიური მდგომარეობაც გაუმჯობესდა. ხელოვნების მუშაკნი, სპეცები, სამეურნეო დარგებში მომუშავენი და რამოდენიმეთ მეცნიერების წარმომადგენელნიც თანდათან იცვლიან დამოკიდებულებას ხელისუფლებისადმი, ასე რომ ზოგიერთები გახდენ ბერიას საუკეთესო პროპაგანდისტებათ. ისინი მუდამ აქებენ ამშენებლობას, აღფრთოვანებული არიან იმ მფარველობით, რომელსაც მთავრობა უწევს ქართულ კულტურას და ქადაგებენ მჭიდრო კავშირს რუსეთთან. ზოგი მათგანი სიტყვიერად ქადაგებენ, რომ მათ თუმცა სძულთ კომუნიზმი და სოციალიზმი, მაგრამ საქართველოს არ შეუძლია ცხოვრება ურუსეთოთ, საქართველო ფაქტიურათ დღესაც დამოუკიდებელია, ყავს თავისი მთავრობა და სხვა. მართალია პოლიტიკური თავისუფლება არა გვაქვს, მარა რად გვინდა ის, თუ ჩვენი საქმე უიმისოდაც გაკეთდება; ჩვენ უნდა დავეხმაროთ დღევანდელ ხელისუფლებას, რომელიც ცდილობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ აღორძინებას,—ასე ფიქრობს დღეს ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილი; მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ინტელიგენტი ასე ფიქრობდეს, არიან ისეთებიც, რომელნიც ამ მიმდინარეობას არ თანაუგრძნობენ და ბოლშევიკურ ხელისუფლებას ძველებურად უარყოფითად ეპყრობიან. ესენი გვერდში უდგიან ქართველ ხალხს.

---

*) ეგ წერილი გამოგზავნილია საქართველოდან იაგოდას დატუსაღებამდე.

რედ.

ორი დემოკრატია

I. ბელგიაში.

11 აპრილის დამატებითი საპარლამენტო არჩევნები ბელგიაში ფაშისტ-რექსისტების სასტიკი დამარცხებით და დემოკრატიის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა.

ეს არჩევნები არა მხოლოთ ნაციონალური, არამედ დიდი ინტერნაციონალური მნიშვნელობის არჩევნები იყო.

გასული წლის მაისის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ბელგიელი ფაშისტები არ ისვენებდენ და მუდამ იმის ცდაში იყვნენ, რომ მთელ ბელგიაში უმრავლესობა მოეპოვებიათ და იქ ოტორიტარული და ფაშისტური რეჟიმი დაემყარებიათ. ამ მიზნით მათ მჭიდრო კავშირი ქონდათ უცხო დიქტატორულ ქვეყნებთან და მათგან დიდ მატერიალურ და მორალურ დახმარებას იღებდენ. ეს ქვეყნები მეტათ დაინტერესებული არიან ბელგიაში ანტიდემოკრატიული რეჟიმის გაბატონებით, ბელგიის ინგლისიდან და საფრანგეთიდან ჩამოშორებით და ფაშიზმის საერთაშორისო გავლენის გაფართოებით. ცდა იყო ფაშისტური შეტევა და ბრძოლა ისპანიიდან ბელგიაშიდაც გადმოეტანათ.

ევროპის დემოკრატიულ და ფაშისტურ ძალთა შორის ჭიდილში ბელგიის პოზიციას და მის ამა თუ იმ მხარეზე დგომას, გეოგრაფიულ-სტრატეგიულ მოსაზრებით, ცოტა მნიშვნელობა არ აქვს. გასაგებია, რომ მას ყოველივე მხრიდან დიდი ყურადღება ექცევა. შეიძლება ამიტომაც იყო, რომ სწორეთ 11 აპრილის არჩევნების წინ ინგლისმა და საფრანგეთმა ბელგიის მთავრობის თავმჯდომარეს ვან ზეელანდს—მთავრობის კოალიციაში შემავალ პარტიების საერთო კანდიდატს—წინადადება მისცა აეღო მას თავის თავზე ინიციატივა საერთაშორისო ეკონომიური საკითხების შესახებ მოლაპარაკებისა. ინგლისი და საფრანგეთი ალბათ ფიქრობდა ამით ვან ზეელანდის ავტორიტეტი და პოპულიარობა კიდევ უფრო გაიზრდებოდა და ფაშისტების კანდიდატ დეგრელზე მის გამარჯვებას ხელს შეუწყობდა.

ბელგიის რექსისტებს ვერ უშველა უცხო ქვეყნებთა ფაშისტების მხარის დაჭერამ და დახმარებამ. ბედმა არ გაუღიმა მათ ნაციონალურ ასპარეზზე.

ბელგიაში ფაშიზმი, როგორც ყოველგან სხვაგან, უმთავრესათ ეკონომიური კრიზისის ნიადაგზე წარმოიშვა. ეს კრიზისი კვებავდა მას და ასაზრდოებდა. ფაშიზმის დასაძლევათ და დასამარცხებლათ საჭირო იყო მის წარმომშობ მიზეზთან ბრძოლა და ამ მიზეზის მოსპობა. ბელგიის მუშათა პარტიამაც თავისი მთავარ ამოცანათ სწორეთ ასეთი რამ დაისახა.

მთავრობაში ამ პარტიის თითქმის ერთი წლის მოღვაწეობამ ბელგიის მდგომარეობა და ეკონომიური ცხოვრება თვალსაჩინოთ გააუმჯობესა (საგრძნობლათ შენელდა ეკონომიური კრიზისი, იკლო უმუშევრობამ, იმატა მუშათა ხელფასმა, შედარებით არ გაძვირებულა ცხოვრება) ამით კი რექსისტებს დემაგოგიისთვის ბევრი საბუთი წაერთვა.

არ გასჭრა არც დეგრელის მიერ წამოსროლილ ლოზუნგმა—ან რექსიზმი, ან მოსკოვი. ამისთვის ბელგიის დემოკრატიას არავითარი საბაბი არ მიუცია.

მოსკოვის რჩევით და დირექტივებით კომუნისტებმა არა ერთხელ მიმართეს ბელგიის მუშათა პარტიას მასთან ერთი ფრონტის შესაკვრელათ. მაგრამ კომუნისტებს ამაზე ის ყოველთვის უარს ეუბნებოდა, დარწმუნებული, რომ კომუნისტებთან საერთო ფრონტი ბელგიაში ფაშისტების და რეაქციის გაძლიერება და გამარჯვება იქნებოდა. მუშათა პარტიამ არჩია ლიბერალებთან და კათოლიკებთან ერთათ მოქმედება და საერთო ძალებით როგორც რექსისტების, ისე კომუნისტების წინაამდეგ დემოკრატიის დაცვა და გამაგრება. თუ კომუნისტებმა 11 აპრილის არჩევნებში ვან ზეელანდს თავისი ხმები მისცეს, ეს მათი სურვილის და ტაქტიკის საქმე იყო და ამისათვის პარტიებთა შორის არ ყოფილა არავითარი მოლაპარაკება და შეთანხმება.

ბელგიის მუშათა მოძრაობის სამი დარგი—პოლიტიკური, პროფესიონალური და კოოპერატიული ერთი მეორესთან მჭიდრათ არიან დაკავშირებული და ბრძოლის ასპარეზზე ყოველთვის თანხმობით და ერთი სამოქმედო გეზით გამოდიან.

ბელგიის მუშათა პარტია, რომელსაც 600.000 წევრი ყავს, მთელი თავისი ძალებით ბრძოლაში ჩაება, დაუშრეტელი ენერგიით ეს ბრძოლა აწარმოვა, თავის ირგვლივ ლიბერალები და კათოლიკები შემოიკრიბა და მათთან ერთათ მოწინაამდეგეზე გაიმარჯვა.

დღეს ბელგიის დემოკრატია იმის ცდაშია, რომ ამ გამარჯვების კონსოლიდაცია და სტაბილიზაცია მოახდინოს. ასეთი მუშაობის გასაწევათ ბელგიის მუშათა პარტია ჯერ კიდევ რჩება მთავრობაში, ცხოვრებაში იმ კომპრომისულ პროგრამის გასატარებლათ, რომელიც მას დადებული აქვს ორ დანარჩენ პარტიასთან. ეხლა საკითხია, რამდენათ ლიბერალური და კათოლიკური პარტიები ახლო მომავალში, თუ ისინი კვლავ ფაშიზმის დიდი საშიშროების წინაშე არ იქნებიან, ამ კომპრომისულ პროგრამის ბოლომდე განხორციელებაზე დასთანხმდებიან და, როგორც წინეთ არა ერთხელ, კოალიციურ მთავრობას მათი საბოტაჟით არ დაშლიან.

ამ საკითხის გამო ბელგიის მუშათა პარტიაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ზოგი ბელგიელი ამხანაგები დემანის და სპააკის მეთაურობით ფიქრობენ, რომ კავშირი სამ დიდ პარტიათა (სოციალისტების, ლიბერალების და კათოლიკების) შორის აუცილებელია, ის ეროვნულ უპირატესობას წარმოადგენს და მუშათა პარტიის საქმიანობა მთავრობის მოქმედებას უნდა შეეფარდოს.

პარტიის უმრავლესობის და მისი ლიდერის ვანდერველდეს აზრით კი სხვა პარტიებთან თანამშრომლობა ეხლა საჭიროა და ის გაგრძელებულ უნდა იქნას, მაგრამ ამ თანამშრომლობას არ უნდა უყურებდეთ, როგორც პერმანენტულ რამეს; პარტიას თავის პრინციპები აქვს და მისი მთავრობაში ყოფნა მის მოქმედებას და ხაზს არ უნდა სცვლიდეს; მუშათა კლასი უმთავრესათ თავის თავს უნდა ემყარებოდესო.

აზროვნების და მოქმედების რომ სრული თავისუფლება ქონებოდა და რითიმე შებოჭვილი არ ყოფილიყო, ვანდერველდე, განსაკუთრებით, ამ მოსაზრებით გავიდა მთავრობიდან, თუმცა, ალბათ დროებით, მან იქ დასტოვა მისი სხვა პარტიული ამხანაგები.

ბელგიის მუშათა პარტიაში აზრთა სხვადასხვაობაა, მაგრამ იქ დიდი დისციპლინა სუფევს და პარტიის მოქმედებაში სრული ერთსულოვანებაა. მისი მოქმედების ეს ერთსულოვანება კი ჰქმნის გარანტიას ბელგიის დემოკრატიის ბედის უზრუნველსაყოფათ.

II. საფრანგეთში.

საფრანგეთშიდაც კოალიციურ მთავრობაში სხვა პარტიებთან ერთათ სოციალისტების შესვლა ფაშიზმის საშიშროებით იყო გამოწვეული.

სანამ ბლუმის მთავრობა ძალაუფლებას აიღებდა ხელში საფრანგეთის მდგომარეობა მეტათ ცუდ სურათს წარმოადგენდა. წლების განმავლობაში ბიუჯეტის წონასწორობის დამყარება შეუძლებელი ხდებოდა, გრძელ ეკონომიურ კრიზისს თან დაყვა პოლიტიკურ პარტიათა შორის მკაცრი ბრძოლები და შეჯახებები. ფინანსიური გამოჯანსაღება და უმუშევრობის დაკლება არ ხერხდებოდა და საფრანგეთს ხალხის გულის აცრუება, მისი უკიდურესობაში გადავარდნა და ავანტიურის ექსპერიმენტები მოელოდა. განსაკუთრებით ფეხს იკიდებდა და იზრდებოდა იმ დროს მემარჯვენეთა დაჯგუფებები და მათდამი თანაგრძნობა.

მემარჯვენეებთან საბრძოლველათ არჩევნებში საერთო პროგრამით გამოვიდენ ორი დიდი დემოკრატიული პარტია სოციალისტებისა და რადიკალებისა. კომუნისტებს რომ საშუალება მისცემოდათ ამ პარტიებთან ერთათ ბრძოლისა და რუსეთ-საფრანგეთ შორის დადებულ პაქტის დაცვისა, მოსკოვის დირექტივით უკიდურესობას თავი გაანებეს, მეტათ ზომიერი პლატფორმა წამოაყენეს და სოციალისტებს და რადიკალებს ლოიალურ თანამშრომლობაზე შეფიცეს. თუმცა შემდეგ სახალხო ფრონტის მთავრობაში მონაწილეობა არ მიიღეს, რომ ამით გარეთ სამოქმედოთ მათ ხელები თავისუფალი ქონებოდათ.

ბლუმის მთავრობა შეუდგა სახალხო ფრონტის საერთო პროგრამის განხორციელებას. ბლუმი საერთოთ ცნობილი იყო, როგორც პარტიის ლიდერი, ნიჭიერი პოლიტიკოსი, პუბლიცისტი, ორატორი, ღრმა მცოდნე სხვადასხვა დარგების და სფეროების საკითხებისა და საფრანგეთის ერთი საუკეთესო ინტელიგენტი. ხოლო მას არ იცნობდენ, როგორც სახელმწიფო მოღვაწეს, ამის დასამტკიცებლათ მას წინეთ შემთხვევა არ ქონია.

მას ეს შემთხვევა ეხლა მიეცა და ამ ერთი წლის განმავლობაში მისი და მის მთავრობის მოქმედების შესახებ ბევრი რამე ითქმის.

ბლუმის მთავრობამ თავისი დანაპირები ჯერჯერობით პირნათლათ შეასრულა და ბევრი სოციალური ხასიათის რეფორმები კანონმდებლობითი გზით ცხოვრებაში გაატარა. მან გაიყვანა კანონი ხელფასის მომატებისა, კოლექტიური ხელშეკრულებისა, სინდიკატის უფლებისა, ჯამაგირის შენახვით წელიწადში 15 დღით დასვენებისა, კვირაში 40 საათის მუშაობისა; შექმნა ხორბლის დამზადება-დაგროვების ოფისი, რითაც თვალსაჩინოთ გააუმჯობესა გლეხობის მდგომარეობა და სხვა.

სხვადასხვა ოფიციალური და არაოფიციალური ცნობების მიხედვით საფრანგეთში დღეს ეკონომიური ცხოვრება კალაპოტში დგება და მას წინსვლა ეტყობა. კლებულობს უმუშევრობა.

წარმოუდგენელი სიჩქარით და წარმატებით ჩატარდა ნაციონალური თავდაცვის სესხი.

უნდა აღინიშნოს ერთი დიდი დეფექტი—გაძვირდა ცხოვრება; ისმება საკითხი, როგორ უნდა იქნას ის თავიდან აცილებული და საამისოთ მიღებულია შესაფერი ზომები.

საგარეო პოლიტიკის წარმოებაშიდაც ბლუმს აღმოაჩნდა დიდი ნიჭი და მოქნილობა. მისი პერსონალური დამსახურებაა, რომ დემოკრატიულ ქვეყნებთან საფრანგეთის კავშირი მეტათ განმტკიცდა. მაგალითად, საფრანგეთის არც ერთ პრემიერს ანგლო-საქსონურ ქვეყნებში არასოდეს არ ქონია ისეთი დიდი ავტორიტეტი, როგორიც იქ ეხლა ბლუმს აქვს.

მთავრობამ და, განსაკუთრებით, მისმა მეთაურმა თავის საქმიანობაში გამოიჩინა დიდი ინიციატივა, გაბედულება და მუშაობის უნარი. არ გამართლდა ბლუმის მეგობრების შიში, რომ ის ამდენ შრომას და მუშაობას ფიზიკურათ ვერ გაუძლებდა.

ბლუმი აღმოჩნდა სოციალისტური პარტიის დიდ ლიდერთან ერთათ დიდი მაშტაბის სახელმწიფო მოღვაწეც. და მას სრულიათ სამართლიანათ შინ და გარეთ ასეთი სახელი გაუვარდა. დიდი ავტორიტეტი შეექნა მას, როგორც უცხოეთში, ისე საფრანგეთში. დიდი თანაგრძნობა აქვს მისდამი საფრანგეთის მუშათა კლასს და დემოკრატიას. ამან დიდათ ასწია თვით საფრანგეთის სოციალისტური პარტიის პრესტიჟიც.

საფრანგეთის ბურჟუაზია და ფინანსიური წრეები კი ასეთ რამეს დიდის შიშით უყურებს და ბლუმის მთავრობის საქმიანობის წინაამდეგ ათასნაირ მანიოვრებს და საბოტაჟს მიმართავენ. სოციალისტების გაძლიერება არც კომუნისტებისათვის არის სასურველი ამბავი. ამიტომაც იყო, რომ კომუნისტებმა ერთ დროს ბლუმის და მის მთავრობის წინაამდეგ სასტიკი იერიშები მიიტანეს. ამან კი მუშებში, სოციალისტურ წრეებში პროტესტები და თვით კომუნისტურათ განწყობილ მასებშიდაც უკმაყოფილება გამოიწვია. ბლუმის მთავრობის გადადგომა ამათვის ნიშნავდა მუშათა ცხოვრების გაუარესებას და რეაქციის გამარჯვებას, ამიტომ ბლუმის კრიტიკას მათ შორის გასავალი არ ქონდა. კომუნისტებიც იძულებული შეიქნენ უკან დაეხიათ და ბლუმის მთავრობაზე ღია და აშკარა თავდასხმები მიეტოვებიათ. მაგრამ ჩუმ და ფარულ საწინაამდეგო მუშაობისათვის მათ თავი არ გაუნებებიათ. ამ ჩუმ მუშაობას ისინი, ეხლა შრომის კონფედერაციის შიგნით აწარმოებენ.

შრომის კონფედერაცია ამ ერთი წლის განმავლობაში ძალზე გაიზარდა და, თუ იქ წინეთ ერთი მილიონი წევრი იყო, ეხლა უკვე 5 მილიონზე მეტია. დიდი უმრავლესობა ამათში დისციპლინას, ორგანიზაციას არ არის მიჩვეული, ამისათვის მათ ჯერ კიდევ შესაფერისი სკოლა არ გაუვლიათ. ამით სარგებლობენ კომუნისტები, თუ სხვები და მთავრობის საწინაამდეგოთ იქ ჩუმათ მრავალნაირ დემაგოგიას აწარმოებენ.

მთავრობის მიერ ნავარაუდევია სახალხო ფრონტის პროგრამა დაახლოვებით ოთხი წლის განმავლობაში იქნეს განხორციელებული. კომუნისტები და სხვა დემაგოგები კი ამ პროგრამის ერთბაშათ და არა თანდათანობითი განხორციელებას მოითხოვენ და მით მთავრობას საქმეს ურთულებენ. გაფიცვებს ხელახლათ ხრონიკული ხასიათი ეძლევა, რაც მთავრობას სახელს უტეხს და მის პრესტიჟს სცემს. ამის გამო იყო, რომ ამას წინეთ კონფედერაციის გენერალური მდივანი ჟუო კონფედერაციის წევრებს მიმართავდა და ამბობდა: ჩვენი პოზიციაა მთავრობასთან ლოიალური თანამშრომლობა. თუ ის ცდება, ჩვენ მას უნდა უთხრათ, რომ ის ცდება. მაგრამ ამავე დროს ჩვენ არ შეგვიძლია დაუშვათ ჩვენ ორგანიზაციაში ისეთი ოპოზიცია, რომელიც სახელს უტეხს ამ მთავრობას. არც ერთ ქვეყანაში არც ერთ მთავრობას ცხოვრებაში არ გაუტარებია ისეთი სოციალური კანონმდებლობა, როგორც ეს ბლუმის მთავრობამ მოიმოქმედაო.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შრომის კონფედერაციაში მღრვეველი და უდისციპლინო ელემენტები ვერ გაიმარჯვებენ და კონფედერაცია კვლავ განაგრძობს ლოიალურ თანამშრომლობას მთავრობასთან. ეს ასე რომ არ მოხდეს, ეს იქნებოდა მთავრობის და კონფედერაციის შორის კონფლიქტების გაღრმავება და გაღვივება, რაც შავი ძალების გამარჯვებას დიდათ ხელს შეუწყობდა.

ბლუმის მთავრობის მოწინაამდეგენი თვით საფრანგეთის სოციალისტურ პარტიაში აღმოჩნდენ. ამ ბოლშევიზანებს პარტიის შიგნით თავისი საკუთარი ორგანიზაციები შეუქნიათ. გარეთ კი მათ კომუნისტებთან მჭიდრო კავშირი აქვთ და სოციალისტურ პარტიის პოლიტიკის და ბლუმის მთავრობის წინაამდეგ საჯარო გამოსვლებს ახდენენ. ეს ორგანიზაციები, რომელიც «მემარცხენე რევოლიუციონერებათ» არიან წოდებული პარტიის უმაღლეს ორგანოს მიერ ეხლა დაშლილათ იქნა გამოცხადებული, მათ წინადადება მიეცათ ჩადგენ პარტიის დისციპლინის ჩარჩოებში და მით პარტიის ერთსულოვანი მოქმედება და საქმიანობა იქნას აღდგენილი.

კომუნისტებს და ბოლშევიზანებს ფრანგი სოციალისტები წარსულში შესაფერისი სიფრთხილით ვერ ეპყრობოდენ და მათ გადაჭარბებულ ნდობას უცხადებდენ. დღეს კი მათი ნამდვილი სახე და ვინაობა ნათელი და აშკარა ხდება.

ბელგიაში მუშათა პარტიას, თუ სხვა დემოკრატიულ დაჯგუფებებს არ აქვთ არავითარი კავშირი და ერთ ფრონტში არ შედიან კომუნისტებთან, რომელნიც დემოკრატიის სასტიკი მტრები არიან. ამიტომ კომუნისტებსაც იქ არ აქვთ საშუალება და რაიმე ფართე ასპარეზი ამ პარტიებს ჩუმი ინტრიგები გაუწიონ და ისინი შიგნიდან ააფეთქონ.

საფრანგეთში კი წინაამდეგი მოხდა. სოციალისტურ და დემოკრატიულ პარტიებმა კომუნისტებს მისცეს ასეთი საშუალება მათთან ერთათ სახალხო ფრონტის შექმნით და დღეს კომუნისტები მათ პარტნიორებს უკანიდან დანას უმიზნებენ.

ასეა თუ ისე, საფრანგეთში ეხლა სოციალისტური პარტია მთელი დემოკრატიის მეთაური და ხელმძღვანელია. ყოველივე გულწრფელ დემოკრატს დღეს მისი გამარჯვება სწადია. მისი დამარცხება დღევანდელ პირობებში არა მხოლოთ საფრანგეთის, არამედ საერთაშორისო დემოკრატიის დამარცხებაც იქნებოდა.

კ. გვარჯალაძე.

ფალსიფიკატორები

I.

ბოლშევიკების ფალსიფიკატორობა საყოველთაოთ ცნობილია. ეს მათი თანდაყოლილი სენია; დაიწყეს ამით, ათავებენ ამითვე. განსხვავება იმაშია რომ ახლა ისინი რუსის ხიშტის მფარველობით უფრო ფართეთ ეწევიან ამ მათთვის სასახელო ხელობას. განსაკუთრებით ცდილობენ ისინი გააყალბონ ჩვენი ქვეყნის რევოლიუციონური მოძრაობის ისტორია და ამისთვის აღარაფერს ერიდებიან. გამოსცეს რამდენიმე «ისტორია», იწერება მრავალი მოგონებები, მარა მთელ ამ მათ «ისტორია»-ში ყველგან მხოლოდ ისინია, მხოლოდ ისინი საქმობენ, მეთაურობენ, უძღვებიან და აწარმოებენ ყოველგვარ რევ. მუშაობა-მოძრაობას! სხვები თითქოს არც კი ყოფილან. მართალია აქა-იქ მენშევიკებსაც ახსენე-

ბენ. მარა ეს ისე. შესადარებლად, თავის პარტიის ასამაღლებლად, თავის «საგმირო» საქმეების უკეთ მოსაჩვენებლად. და ასე ქონებრივ ცარცვა-გლეჯას, იდეურ-პოლიტიკური ცარცვა-გლეჯაც დაურთეს.

ამ გაზვიადებულმა თავის ქებამ და სხვის ნამოქმედართა ასე აშკარად მითვისებამ ამ ბოლო დროს მათ წრეებშიაც კი ერთგვარი უკმაყოფილება გამოიწვია. «პარტიის ისტორიიდან ზღაპრული ელემენტები უნდა განდევნილ იყოს»—სწერს მ. ორახელაშვილი («რევ. მატ.» № 4). თ. კალანდაძე პირდაპირ ითხოვს ამ მათი «ისტორიის» რედაქტორების გადაყენებას. გაზ. «მუშა»-ს რედაქტორი საყვარელიძე აფრთხილებს მკითხველებს: «თალაკვაძეს არ ენდოთ, ვინაიდან იგი ისტორიას კი არ ამუშავებს და არკვევს, არამედ არაკებს თხზავს»-ო (№ 875). «გაფრთხილება არ კმარა—შენიშნავს რ. კალაძე—საჭიროა ახალი ისტორიის შედგენა»-ო და სხვ. («რ. მ.» № 3).

მაგრამ ყველას გადააჭარბა შულავერის გმირმა ფ. მახარაძემ. თუ სხვები ამ იდეურ განგსტერობას თავის პარტიის სასახელოთ სჩადიან, მახარაძე ყოველივე ამას სჩადის თავის პიროვნების საქებ-სადიდებლათ. განსხვავება, რა თქმა უნდა, დიდია, თუმცა, ორივე ერთი და იმავე ღირსებისაა, ორივე ერთნაირად ამორალურია.

მახარაძეს, როგორც სჩანს, არ აკმაყოფილებს ყოველივე ის, რაც მას რუსის ხიშტმა მისცა და ახლა მას საქართველოს «პირველი მარქსისტის» დიპლომის მიღება მოუსურვებია და აი დაფაცურდა მისი ამქარი, რომ მას როგორმე ასეთი დიპლომი უშოვოს. მაგრამ რადგან ყველა ისტორიული დოკუმენტი ამის წინაალმდეგ ლაპარაკობს—ისინი არავითარ სიყალბეს აღარ ერიდებიან, ოღონდ კი თავის შეფს წადილი აუსრულონ. ამ მიზნით მათ გამოუნახავთ ერთი მისი ძველი საპოლემიკო წერილი, დღემდის ყველასათვის უცნობი და გაუგონარი, რომელიც მას დაუწერია 1892 წ. მაჩხანელის საპასუხოთ და რომელიც თითქოს არც «ივერიას» და არც «კვალს» არ დაუბეჭდავს, «როგორც «მარქსისტული»! ეხლა ეს წერილი—«უთავბოლობის ნაყოფი»—ჟურნალშიაც დაბეჭდეს და ცალკე ბროშურათაც გამოსცეს. თუ რამდენად მარქსისტულია ეს სადიპლომო წერილი, ამაზე ახლა არას ვამბობთ, ვიტყვით მხოლოდ, რომ რაც უნდა დიდი მარქსისტული იყოს, ის მაინც არ აძლევს მახარაძეს «პირველი მარქსისტის» დიპლომის უფლებას, რადგან, როგორც თვითონ აცხადებს და როგორც თვით წერილზეა აღნიშნული, ის მას დაუწერია ვარშავაში 1892 წ. 2 ღვინობისთვეს (ხაზი ჩვენია). ამ დროს კი ვარშავაში კაი ხნით ადრე, გაცხარებული შეხლა-შემოხლა იყო ნ. ჟორდანიას მიერ შემუშავებულ მარქსისტულ პროგრამის შესახებ. რომელზედაც ექიმი მირიანაშვილი შემდეგ საინტერესო ცნობებს იძლევა თავის ავტობიოგრაფიაში.

... «1892 წ. აგვისტო-სექტემბერში—სწერს ექიმი მირიანაშვილი—საქართველოდგან ფ. მახარაძეს მოუვიდა ვარშავაში წერილი და მასთან ერთი პროგრამა. წერილი და პროგრამა გამოგზავნილი იყო ნ. ჟორდანიასაგან, სწერდა მახარაძეს: ეს პროგრამა განიხილეთ წრეში და მომწერე წრის აზრიო. პროგრამა დაწერილი იყო ნ. ჟორდანიას ხელით ფოშტის ქაღალდის ფურცლებზე, სულ სამი გვერდი იყო გავსებული. წრის კრება, რომელზედაც მახარაძემ წაიკითხა ეს პროგრამა, მოხდა ჩემ ბინაზე ოქტომბრის ბოლო რიცხვებში. პროგრამამ აზრთა დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია დამწრეებში. მასში იყო გატარებული ის დედა აზრი, რომ საქართველოს განთავისუფლება თვითმპყრობელობის კლანჭებიდან უნდა მოხდეს მუშათა კლასის გათვითცნობიერებით, დარაზმვით და ცარიზმის დამხობით. ქართველი მუშათა კლასი და მასთან ერთად ქართველი მოწინავე ინტელიგენცია ამ შემთხვევაში შეთანხმებით და მჭიდრო დაკავშირებით უნდა მუშაობდეს რუსეთის მუშათა კლასთან და ინტელიგენციასთან. გამოცალკევება საქართველოსი დაუშვებელია. განთავისუფლება ხდება არა ეროვნულ ნიადაგზე. არამედ კლასობრივ ნიადაგზე. კამათის დროს ჩამოყალიბდა ორი ერთი-მეორის მოწინააღმდეგე მიმართულება, კრება გაიყო ორ ბანაკად: ერთმა ბანაკმა, რომელსაც მეთაურობდა ფ. მახარაძე მხარი დაუჭირა პროგრამას, მხოლოდ შეიტანა შესწორება სათაურში—უნდა დაერქვას «სოციალ-დემოკრატების» პროგრამაო, ვინაიდან, თანახმად პროგრამის შინაარსისა, ბრძოლა იწარმოებს არა ეროვნულ, არამედ კლასიურ ნიადაგზედო. მეორე ბანაკი არ დაეთანხმა და მოითხოვდა ეროვნულ ნიადაგზე ბრძოლის გაჩაღებას და საქართველოს გამოცალკევებას რუსეთიდან. ამ გვარად წრეში თავი იჩინა ორმა პოლიტიკურმა მიმდინარეობამ—ნაციონალურმა და კლასობრივმა. ეს ორი მოწინააღმდეგე აზროვნება ხშირად შეეტაკებოდენ ხოლმე ყოველგან, სახლში და გარეთ. არ დარჩენილა უცნობი რუსეთის სხვა საუნივერსიტეტო ქალაქებში არსებულ სტუდენტთა წრეებისათვისაც»-ო და სხ. (გ. გიორგაძე. «თვითმპყრობელობა და რევოლიუცია» გვ. 109).

ამ რიგად ნ. ჟორდანიას მიერ შემუშავებული პროგრამა, რომელსაც თვით მახარაძემ «სოციალ-დემოკრატიული» დაარქვა—ვარშავაში უკვე აგვისტოში ქონდათ მიღებული. მაშასადამე მისი წერილი დაწერილია რამდენიმე თვის შემდეგ ამ პროგრამის იქ მიღებისა. კიდევ კარგი რომ არ სთქვა—ეს პროგრამაც ჩემი დაწერილიაო! აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ, როგორც ვთქვით, მახარაძეს თავის წერილი დაუწერია ორ ღვინობისთვეს, წინასიტყვაობაში კი აცხადებს: ... «ეს წერილი სექტემბრის (ხაზი ჩვენია) დამლევს გაუგზავნე «ივერია»სო («რ. მატ.» № 9-10).

როგორ მოხდა რომ ორ ღვინობისთვეს დათავებული წერილი სექტემბრის დამლევს ე. ი. წინა თვეში გაუგზავნა «ივერიას»? სწორედ ამაზე იტყვიან—ოსტატი ჩიტი ორივე ფეხებით გაებაო. რამდენი გამოცემა გვქონდა ჩვენ მის შემდეგ, ზოგის მეთაური თვითონ ფ. მახარაძე იყო და რომ რაიმე საინტერესო ხელნაწერი ქონოდა იმ დროს ამა თუ იმ სახით არ გამოაქვეყნებდა?!

დავა ზემოთ ხსენებული პროგრამის შესახებ მეტად გამწვავებულა და ახალი წლის შეხვედრაზე—განაგრძობს ექიმი მირიანაშვილი—ივ. ლულაძის წინადადებით არჩეულ იქნა კომისია ოთხი კაცისაგან საკითხის გადასაწყვეტათ და მანვე დაასახელა ოთხი პიროვნება, მათ შორის, ფ. მახარაძე. კრება ერთხმად დაეთანხმა ლულაძეს. ამ კომისიამ იმუშავა ორი თვე—1893 წლის იანვარი, თებერვალი და მარტში საერთო კრებას წარმოუდგინა «ლიგა საქართველოს განთავისუფლების» პროგრამა. პროგრამა აღმოჩნდა კომპრომისული, მასში შეერთებული იყო ორი მოწინააღმდეგე შეხედულება: ნაციონალური და კლასობრივი. ეს პროგრამა მცირეოდნათ იქნა შესწორებული საერთო კრებაზე, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა წრის მთელი შემადგენლობა და სხ. (იქვე).

სწორედ ამ დროს თფილისში მეორედ შეიკრიბა ყვირილის კრებაზე დამსწრენი და განიხილეს ნ. ჟორდანიას ის საპროგრამო წერილი—«ეკონომიური წარმატება და ეროვნება»—, რომელიც, როგორც ვიცით, საფუძვლად დაედვა საქართველოს მარქსისტთა პირველი ჯგუფის საზოგადო ასპარეზზე გამოსვლას. და აი, როცა აქ, ეს მცირე ჯგუფი, მარქსისტულ მოღვაწეობას იწყებდა—ფ. მახარაძე ვარშავაში «ლიგის» პროგრამას იმუშავებდა და ახლა გამოდიან მისი ამქარნი და ქვეყანას არწმუნებენ—საქართველოში მარქსისტობა მახარაძის დაწყებულიაო. კიდევ მეტი. იქამდის გაკადნიერდენ რომ უმატებენ: კ. ჩხეიძე, სილ. ჯიბლაძე, ეგ. ნინოშვილი, სევ. ჯუღელი და სხვები ფილიპეს ამ წერილებით გაეცვნენ მარქსიზმს, მარქსისტულ თეორიას, მარქსისტულ მოძღვრებასო («რევ. მატ.» № 4-5). სწორეთ ამათზეა ნათქმი: ვრი, ნო ზნაი მერუ.

ფ. მახარაძე ბეჭდავს ყოველივე ამას იმ გამოცემებში, რომლის რედაქტორი თვითონაა და ასე ქართული საზოგადოებრივი აზრის დღევანდელი სიჩუმით გათამამებული ლამობს შავის თეთრად მოჩვენებას და, ალბათ, დარწმუნებულია რომ ამას კიდევაც შესძლებს. ამაოა. სიყალბით და სიცრუით სხვა ვინ გასულა ფონს რომ ეს მახარაძემ შესძლოს...

გრ. ურატაძე.

◆

დაშლილი კომპარტია

საქართველოს კომპარტიის პლენუმის უკანასკნელ სხდომაზე ნახევრათ მაინც ფარდა აეხადა იმ სიბინძურეს, რომლის წუმპეში განაგრძობს არსებობას მოსკოვის ბრძანებათა ამსრულებელი კომუნისტური პარტია. ის ხომ უცხო ხიშტების შემწეობით წარმოიშვა, მისით სულდგმულობს დღესაც და თარეშობს ქართველი ერის ზურგზე. მოსკოვის კარნახის ქვეშ მისი ადგილობრივი ხელმძღვანელი პარტიულ ორგანოებში მოკალათებული პირები მლიქვნელობის, უდარდელ და ე. წ. «საამურ ცხოვრების» მორევში ჩაფლულნი ცინიკურათ განაგრძობენ მშრომელი ხალხის ძარცვას. დღიდან საქართველოს დაპყრობისა, სამშობლოს მოღალატეთა ჯგუფის ცდები რომ საქართვ. მიწა-წყალი რუს. დოქტრინით მოეწამლათ, უნაყოფოთ დამთავრებულა. ისინი ვერ შეჭრილან, ვერ დაუპყრიათ თავისუფლების მოყვარულ ქართველის სული და გული. პარტია გადაქცეულა სულმდაბალთა, თბილ ადგილის მაძებართა ბუნაგათ, სადაც გაბატონებული კომპარტიის წევრები მთელი წლეების მანძილზე არ ახდენენ ხელმძღვანელ ორგანოების გადახალისებას. თფილისის ერთ-ერთ უდიდეს რაიონში სამი წლის განმავლობაში ანგარიში არ ჩაუბარებია ხელმძღვანელ კომიტეტს პარტიულ ორგანიზაციისთვის. შიგ კონტრ-რევოლიუციონერი—ტროცკისტები ცინცაძე, გრიგორიანი და სხვები გამძვრალან, დაუტყუებიათ საკუთარი ორგანიზაცია. მახარაძის რაიონში (სოღანლუღი) პარტიული ორგანიზაცია სრულებით დაშლილია, რადგან მავნე «ტროცკისტს» შაქარაშვილს ჩავარდნია ხელში. საქართველოს მ. გ. მილიციის გარნიზონის პარტ-ორგანოში «გამეფებულა უპასუხისმგებლობა, პოლიტიკური დაბრმავება საქმისადმი უდარდელობა». აქაც მავნე «ტროცკისტი» გაბიჩვაძე და სხვები აჭახრაკებენ საქმეს და სხ. ერთ-ერთ საკონდიტერო ქარხანაში სამკუთხედის მიერ ადგილი ქონია «სოციალისტურ» საკუთრების მითვისებას, მლიქვნელობას, უდარდელობას. ასეთივე მავნებლობის ფაქტებია ჩამოთვლილი სხვა ქარხნებში. ორჯონიკიძის რაიონში გაბატონებულა «პირწავარდნილი ტროცკისტები» კალანდაძე-ავალიანი და ორგანიზაცია მიუნგრევიათ. სპილენძის ქარხნებში არც ერთ პარტიის წევრმა პარტიის წესდება არ იცის, და ის არც არავის აინტერესებს. სამტრედიის პოლიტ-განყოფილების ზოგიერთი მუშაკები უდარდელობას მისცემიან, სიფხიზლე დაკარგვიათ, რის შედეგათ ხშირია ავარიები, მავნებლობა, დატაცება. აბაშის რაიონში პარტიულ კრებაზე მდივანი ემუქრება ერთ-ერთ კრიტიკოს—«იცოდეთ რომ ასეთი გამოსვლები მომავალში თუ გაიმეორეთ, არ ივარგებს თქვენთვისო». ჩოხატაურის, ბათუმის. ქუთაისის, ზესტაფონის, თელავის, ხონის და მრავალ სხვა ადგილებშიც არაა არც ერთი პარტიული ორგანიზაცია, სადაც მავნებელთა, კონტრ-რევოლიუციონერთა, «ტროცკისტთა» ჯგუფი არ იყოს აღმოჩენილი და გაკიცხული («კომუნ.» №№ 59, 68, 71, 75, 86, 73, 89, 84).

საქართველოდან ჩვენი გაზეთის კორესპონდენტის წერილიდან ვიცით თუ რა სამსახურს უწევს ტროცკის სახელი სტალინ-ბერიას წრის ბატონობას. ის ყურით მოთრეულია მათთვის, რომელთაც შესძლეს დაემსახურებიათ ნდობა ზევით მყოფ წითელ ბატონების, რკინის შუბლით და მაგარი კბილებით დაჯილდოვებული არიან. ისინი დანარჩენთ სდევნიან, «ტროცკისტათ» აცხადებენ. შეყავთ ხელმძღვანელ ორგანოში თავის ნაცნობ-მეგობრები და ასე ვითომდა რკინისებური დისციპლინის პარტია გადაქცეულია კერძო ინტერესების მაძებართა თავშესაფარათ. ურთიერთისგან გემრიელი ლუკმის პირიდან გასაგდებ და ერთიმეორეს ადგილის წასართმევ საშვალებათ. პარტიული რიგებისთვის არ არსებობს არავითარი მომავლის პერსპექტივა, ის ბურუსითაა მოცული, ყველა ცდილობს ცხოვრებიდან გამოსწოვოს რაც კი შეიძლება.

კომ-ცეკას ინსტრუქტორი ვიღაც კვირკველია («კომ.» № 88) ამას «სიბეცეს და იდიოტურ ავათმყოფობას» უწოდებს. მაგრამ ეს ავათმყოფობა ისეთ სენათაა გადაქცეული, რომ მისი განკურნება შეუძლებელია, დღითი-დღე ის ედება ყველა პარტიულ ორგანოებს. ისინი წევრთა ურთიერთ სიძულვილის, გაუტანლობის ატმოსფერაში ლაფავენ სულს. ბერია ცდილობს თავის მოხსენებით აჩვენოს უპარტიო მასებს, ხალხს, პარტიის უმაღლეს ხელმძღვანელობის სურვილი პარტიის პოლიტიკურ-მორალური სიწმინდის დასაცავათ, დაბალ მეისრეთა გაკიცხვით ცდილობს ასწიოს პარტიის დაცემული პრესტიჟი. პრესა ისევ ალაპარაკდა თვითკრიტიკის და შინაპარტიული დემოკრატიის შემოსაღებათ. თვითკრიტიკა კი ლაჩარ პარტიის წევრთა წამოსაჩოქებელი საშვალებაა, «შევცდით და მოგვიტევეთო» რომ გაიძახიან. «პარტიული დემოკრატია» თვალმაქცობის და ფარისევლობის სრული გამოხატულებაა, გულუბრყვილოთა თვალის ასახვევათ, უკმაყოფილოთა აღმოსაჩენათ, შემდეგ მის ასალაგმავათ. ან კიდევ უერთგულესთა დასაახლოვებლათ გაბატონებულ წრის ხელში მათ უკეთ გამოსაყენებლათ. გადმოსროლილია ახალი ლოზუნგი «დავეუფლოთ ბოლშევიზმს». ათეულ წლების მანძილზე თურმე ის ვერ დაუფლებია მას, თორემ ის «პოლიტიკური სიბეცე» რაც დღეს პარტიაში გაბატონებულია, მას თურმე ადგილი არ ექნებოდა. და ის საუკეთესო გამომხატველი იქნებოდა ლენინ-სტალინის იდეების. სწორედ რომ პარტიამ შეითვისა ბოლშევიზმი, დაეპატრონა მის არსებას, ჩაწვდა მის პოლიტიკურ-მორალურ სიღრმეში... და გაიხრწნა კიდეც. ზნეობრივათ გათახსირდა და იდეური ჩანასახიც გაქრა მის რიგებიდან. საქართველოს კომპარტია იმ თავითვე მოსკოვის პოლიტიკური აგენტურაა, მისი ყურმოჭრილი მონაა, ქართველ ერზე გასაბატონებლათ შექმნილი. ეხლა თვით მისი ცეკის პლენუმმა მზის სინათლეზე გამოიტანა პარტიის იდეურ-პოლიტიკური დაცემა, მორალური სიძაბუნე და ცდილობს მისი რიგების გაჯანსაღებას. ტყვილი ცდაა, კომპარტია უცხო ძალაა ქართულ პოლიტიკურ ვითარებაში. ის განწირულია და ჩქარი ნაბიჯით დაღუპვისკენ მიექანება. ქართველი ხალხის მოღალატენი ერთიმეორეს სამარეს უმზადებენ, ტერორის ქვეშ აყენებენ. ქართველი ერი ყველა მათ ადრე სამარცხვინო ბოძზე გააკრავს...

ირ. ხარიშვილი.

◆

წერილები ლიტერატურაზე

III

სასახლის «პროლეტარული მწერლობა»!

> «ცოტა ნიჭი, ცოტა ცოდნა
> ზედ ქართული ანა-ბანა...
> ცა ქუდათ არ მიმაჩნია
> და ქალამნათ ეს ქვეყანა.»
>
> აკაკი.

დიდი მგოსნის ეს თქმა ზედ გამოჭრილია «პროლეტარულ პოეტებზე». მათი პირველი გამოსვლები დეკლარატიული ხასიათისა. შექება დიდ სტალინს, «ჩეკას» ძალადობას, უსამართლობას. ესთეტიკა განდევნილია, ხალტრუისტიკა გამეფებულია. ძველ ტირანებსაც ყავდათ თავის სასახლის პოეტები, ლექსის მთქმელები, ხოტბის შემსხმელნი. წითელმა სასახლემ შექმნა საკუთარი პოეზია, ლიტერატურა. პირველ რიგში აყენებენ ვიღაც ალიო მაშაშვილს, ის ყოფილა ნამდვილი პოეტი ბრძოლის და შრომის, ინდუსტრიის და ელექტრონის, ერთი სიტყვით რეალისტი. «ტყვია წამალის ორთქლმა დანისლა გონება რკინის, კაცის, ნადირის, ველარ უსწორებს ქვეყანა ძველი თვალებს ოქტომბრის სისხლიან თვალებს». აი ამაში ყოფილა ესთეტიკა და კულტურაც. სისხლიანი თვალები აღფთოვანებას, შვებას და კმაყოფილებას აძლევს მას, «წლების გრაგანი მას ვერ მოღუნავს. ხელებ გაშლილი უშიშრათ მიდის, მისი პარნასი არის კომუნა, ლენინის შუბლი და ეშაფოთი». ლენინის შუბლი მართლაც ეშაფოთის სიმბოლოა, მისი დროშის ქვეშ დაიმარხა უფლება და მორალი. სისხლში ჩაიხრჩო თავისუფალი პიროვნება და აი ამ სისხლის ტალღებში ცურავს ჩვენი პოეტი. გვთავაზობს თავის ესტეტიკას. მაშაშვილის მთელი პოეზია, პირწავარდნილი, ვულგარული ექსტაზია ბოლშევიკური ძალადობის, მისი ფრთების შემსხმელია. «ნუ მირჩევთ მის შებრალებას, ნუ მირჩევთ მის სიყვარულს, მასაც სიკვდილს დაუწერ მკერდზე ცხელი სიტყვებით». ემუქრება ვიღაცას, ალბათ ეს ვინმე შინაური უნდა იყვეს, სტალინის ხაზს რომ გადაცდა... ესაა ნამდვილი «ჩეკისტური» შემოქმედება. ტყვია-წამლით მუქარას რა საერთო აქვს სალიტერატურო შემოქმედების დენასთან. ის დაწერილია «ჩეკისტების» მადის გასაორკეცებლათ, მათ გასამხნევებლათ, მათი სადისტური მოქმედების გასამართლებლათ.

მაშაშვილი იმდენათ გამატრაკვეცებულია, რომ ბარათაშვილს ეზმანება, აკრიტიკებს კიდეც, სწერს ლექსს: «მე და ბარათაშვილი». ამაზე ზე გამოჭრილია ვარდენა ღვანკითელის საქციელი აკაკის ქუთაისში რომ მიმართა: «შენ საჩხერეს არწივი ხარ, მე—ღვანკითის შევარდენი, შენც პოეტი, მეც პოეტი, შენ აკაკი—მე ვარდენი». ძველ პოეტებს თურმე თფილისის ქუჩები უტკეპნიათ, არღანის დაკვრისა და ლოთობის მეტი არაფერი უკეთებიათ. «ჩვენ ეხლა უფრო შორს ვიხედებით, უფრო შორი გზა და მიზნები. ძველი საქართველოს პოეტები კი თოლიებივით ჰკორტნიან პროსპექტს და გასცქერიან ზაჰეს ტკივილით». წარსული მკვდარია ბოლშევიკებისთვის. ის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს. «თფილისი მზიან დროშებს უცინის, ქუჩის რიგებში ვართ დარაზმული, ჩვენ პოეტები რევოლიუციის». ეს «პოეტები» ნაშობია რუსეთის ხიშტით, ისინი მათ სასოებით შესცქერიან თფილისის ქუჩებში. საბედნიეროთ მთა წმიდიდან გამუდმებული ყვირის მეორე ხმა: «თფილისი ისევ გაქართველდება და ნაგუბარში ჩადგება წყალი».

ვიღაც ნაროუშვილს ეტყობა ნიჭი, მაგრამ თავის ბატონების ბრძანებას ის გვერდს ვერ უხვევს. თავის «სოფლის ყოფა ცხოვრებაზე» ის დასცინის ჩვენ გლეხობას, რომ მას კიდევ აქვს შერჩენილი წვრილი ეგოისტური მისწრაფებანი, ქონდეს თავისი საკუთარი კერა, სახლ-კარი, მიწა-წყალი, და საკუთარი შრომით თვითონ დაიკმაყოფილოს თავისი თავი. აი ეს მინიმალური, ადამიანური მოთხოვნილება გასაკიცხი ყოფილა. «მე უმღერ გლეხებს არა გლეხურათ, გლეხურ ბუნების უარმყოფელი».

საინტერესოა ი. ვაკელი, ის ბევრს სწერს, მას ხან მარჯვნივ—ხან მარცხნივ გადახრებს სწამებენ. ეს ბოლშევიკური კრიტიკის ვარჯიშობაა. ი. ვაკელი თუ ს. ეული თავიდან სტალინ-ბერიას ყურმოჭრილი მონები იყვნენ და ასეთივე დარჩნენ. «ვიყავი ძველი ტომის და ჯიშის, მაგრამ მომავალ ახალ ეპოქებს ჩვენ არასდროს ვუცქერით შიშით, ჩვენ ამ ბრძოლაში არ გვყავს მეტოქე, და ყველა აქ ვართ დღეს მოგროვილი ქართული სისხლით ვით მზის ფერია». მისი მიზანი აშკარაა, ახალი ეპოქა. ეს ბოლშევიკური ეპოქაა, რომელსაც უნდა დაეფლოს ქართული სისხლი. მისი ცდა უნაყოფოა, ქართველი ერის სისხლი არ მოიწამლება ბოლშევიკური ბაცილებით. მის შეუწყვეტელ ჩქეფას ასაზრდოებს ეროვნული და საკაცობრიო იდეალები და არა წითელი იმპერიალისტური და შოვინისტური.

ვიღაც დოლიაშვილს ბოლშევიკები სთვლიან საუკეთესო პოლიტიკურ პოეტათ რადგან «წინ მივალთ და მთა-გორების მკერდი დაგვითხრია, თუჯი, რკინა და ნახშირი უამრავი ყრია».. ესაა მათი თქმით ვაჟკაცური გრანდიოზულობა: «მთას ჩამოჰგლიჯეთ მადნების კალთა, ჩვენი ეპოქის ვინც ხართ ერთგული». დოლიაშვილი პოპულიარული პოეტიც გამხდარა, რადგან ფოლადს უმღერის: «როს დღე და ღამე ცეხიდან-ცეხში დაზგები დაზგებს ეჯიბრებიან, ფოლადს აქებენ სიმტკიცით, მაგრამ ფოლადზე უფრო ბრიგადებია»... ჩვენი მკითხველი იცნობს ამ დამკვრელ ბრიგადებს...

ერთ ქვაბში ჩასაყრელია სხვა კომსომოლა პოეტებიც, ბოხოხაძე, კაჭახიძე, აბაშიძე, ზარიძე, ბუხნიკაშვილი და მრ. სხვები, რომელთა შესახებ ქიქოძესაც კი წამოცდა—«მართლა პოეტებათ წარმოუდგენიათ თავიანთი თავი, მამლაყინწობენ, ლოთყოყოჩობენ, თეორიული მომზადებაც აკლია და მხატვრული უნარიც». აი ეს ხალხია, რომ ბარათაშვილ, ილია-აკაკის ედავება, იწუნებს და პოეზიის მოსარჩლეთ მოაქვთ თავი. «პროლეტარული პროზა» ჯერ კიდევ ფეხაუდგმელია. ბოლშევიკური კრიტიკა ჩივის ამ დარგის მიმდევართა სიმცირეს.

თუ პოეტები სოკოსავით გამრავლდენ, ბელეტრისტები თითზე ჩამოსათვლელია. პირველ რიგში აყენებენ ვიღაც პან. ჩხიკვაძეს. თუ ის პირველია, როგორი ხარისხის იქნებიან სხვები, როცა მის მოთხრობებს გაეცნობით ადვილი წარმოსადგენია. თავის «სართულები»-ში აღწერილი აქვს საბჭოთა მშენებლობა, მავნებლობა, კომუნისტური ხელისუფლების ყოფა-ცხოვრება ადგილობრივათ. თფილისში შენდება ერთ-ერთი ქარხანა, შენობის ირგვლივ სწარმოებს წვრილ-მოხელეთა კომბინაციები, გაფლანგვა, მავნებლობა, ბოლშევიკური ენით ამას ქვია კლასიური ბრძოლა. მავნებელთა მხრივ ბრძოლას მეთაურობს ყოფილი ნავთის მწარმოებელი, საზღვარ-გარეთიდან ემიგრაციის რწმუნებული, ეხლა ქარხნის ინჟინერი. ავტორმა ერთი მუჯლუგუნი ამით საზღვარ-გარეთ მყოფ ქართველ ძალებს გაჰკრა და პატრონები ასიამოვნა. ქარხანაში ჩახშულია თვითკრიტიკა, რადგან მავნებელებს მოუხერხებიათ «კომ.იაჩეიკის» მდივანის გადაყენება და თავისი «აქტივის» შექმნა. ამას კი ვიღაც «საიდუმლო ინტელიგენტთა ჯგუფი ხელმძღვანელობს თურმე. მრავალი ასეთი გამოგონებაა მოყოლილი ვიღაც მავნებელთა ყურით მოსათრევათ, სადღაც «ინტელიგენტთა ჯგუფის» არსებობის აღმოსაჩენათ. ბოლშევიკი გუდაური გამოყვანილია როგორც მტკიცე, შეურყეველი ნებისყოფის ადამიანი. გუდაური მტკიცეა ოჯახში, დაწესებულებაში, ცეკაში, კომისიებში, გამგეობაში, პირად ცხოვრებაში. სიმტკიცე, აუჩქარებლობა, გულადობა მრავალ ადამიანთა თვისებაა, არა მარტო ბოლშევიკის თუნდაც, რომ მართლაც მას ეს თვისებები ებადოს. მათი სიმტკიცე არაა თავისუფალი ნებისყოფიდან გამომდინარე, რადგან გიგაურის «განაჩენი უკვე საბოლოო და დაურღვეველი». ასეთი განაჩენი დიქტატურის ძალაუფლების ანარეკლია. გიგაურების, ისე როგორც ჯაყოების გარდაწყვეტილების შეცდომათ აღიარება საზოგადოებას არ ძალუძს, ამის უფლება მას წართმეული აქვს. მხატვრულ პროზაში ყალიბდება ამ ურჩი ნება-სურვილების ტიპი. მას ზევით მყოფისგან დამოკიდებული, ავტომატიურათ რომ ადგილობრივ მართველობს ცხოვრების მიმდინარეობას. ბოლშევიკურ ხელმძღვანელობისთვის სწორეთ ასეთი ტიპია საჭირო და სასარგებლო, მისი სალიტერატურო შემოქმედებაში წარმოდგენა მოწონებულია და ავტორი შექებული. მრავალ სხვა პატარა მოთხრობებში ერთი სავალდებულოა—იმ «დაწყევლილ მენშევიკების» შეკურთხება, მათი გაქიაქება და მეორე—საბჭოთა აღმშენებლობის აღწერა, მისი მშენებლის გადიდკაცებულ ბოლშევიკის გმირათ გამოყვანა. არც ერთი არ მიგვაჩნია ღირსათ ცალკე განხილვის არც თემატიური, არც მხატვრული მიდგომით. აი ეს «პროლ. მწერლობას» დაჯგუფება ბატონ-პატრონია სალიტერატურო ასპარეზის. მაგრამ კალმით ყურმოჭრილი მონა ბერიასი და კომპ-სი პოეზიაში თუ პროზაში.

აღიგვება თუ არა ჩვენი მიწა-წყლიდან ჩრთილოეთიდან შემოტანილი სენი, მას თან გადაჰყვება «პროლეტარულ მწერლობის» შემოქმედების პროდუქცია.

მეარხივეს ან ისტორიკოსს შეიძლება ის გამოადგეს მასალათ ბოლშევიკური ფსიხოლოგიის შესასწავლათ და მის დასაფასებლათ. ის ვერ შევა ქარ-

ჩვენი უკანასკნელი ომი

2. ფოილოზე.

სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის მარცხენა ჯგუფს შეადგენდა ფოილოს კოლონა. მისი ამოცანა იყო: დაცვა ფოილოს სექტორის მტრის თავდასხმისაგან მაშველ ჯარის მოსვლამდი. ამიტომ მთელი ეს სექტორი მოგერიებისათვის წინდაწინ მომზადებული იყო და მდ. მტკვარზე რკინის ხიდიც დანაღმული იყო.

ფოილოს კოლონა შესდგებოდა შემდეგი ნაწილებისაგან:

1) სახალ. გვარდიის მე 2 იმერეთის ბატალიონი. ბატალიონის უფროსი მაიორი აკ. კვიტაიშვილი. ამ ბატალიონს ებარა ფოილოს ხიდის დაცვა (მოწინავე პოზიცია) და მთავარი მოგერიებითი ხაზი. მისი შემადგენლობა 800 ხიშტი და 24 ტყვიამფრქვევი.

2) სახ. გვარდიის ზუგდიდის ბატალიონი. ბატალიონის უფროსი პოლკ. კოდუა—იგივე კოლონის უფროსი. ბატალიონი იდგა სად. სოგუტ-ბულაღში რეზერვში. შემადგენლობა: 500 ხიშტი, 12 ტყვიამფრქვევი.

3) სახ. გვარდიის საარტილერიო ბრიგადის მე 5 საველე ბატარეა. უფროსი კაპიტანი რატიშვილი. იდგა მუდმივ საომარ დახურულ პოზიციაზე მე-2 იმერეთის ბატალიონის მებრძოლ უბანზე.

4) მუდმივ ჯარის ცხენოსან პოლკის მე-3 ესკადრონი. იდგა ყარაიაზში, რეზერვში.

5) მუდმივ ჯარის საპიორთა მწყობრი. იდგა თვით ხიდთან. მათი მოვალეობა იყო დანაღმულ ხიდის აფეთქება.

6) სანაპირო ასეული. ასრულებდა სანაპირო სამსახურს. ოპერატიულ დარგში ემორჩილებოდა იმერეთის ბატალიონის უფროსს.

7) ჯავშნიანი მატარებელი № 4. მისი უფროსი ალფესი გოგუაძე. იდგა სად. სოგუტ-ბულახში.

12 თებერვალს ოფიციალურად გავიგეთ რომ «სომხების ბრბოები» თავს დაესხენ ჩვენ ჯარს. არა ოფიციალურად კი «სალდათის ტელეგრამმა» გვატყობინებდა, რომ შეტევაზე გადმოსულია რუსეთის ლაშქარი და სომხები მათ ეხმარებიანო.

13 თებ. შორიდან ზარბაზნების გრიალი მოგვესმა. ჩვენს ირგვლივ კი ამ დროს არაფერს ცვლილება არ ეტყობოდა. მატარებლები ჩვეულებრივად მიდიოდმოდიოდენ. პოლკ. კოდუასთან აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ მდგომარეობის შესახებ ჩვენ გადავწყვიტეთ—ვისარგებლოთ ხელსაყრელ მდგომარეობით, ვინაიდან მტერს ჯერ არ ყავს ძალა დაგროვილი ფოილოსთან და მთავარ სარდლის ნებადართვით გადავიდეთ შეტევაზე. პოლკ. კოდუა დაელაპარაკა პირდაპირი მავთულით გენ. ოდიშელიძეს და გააცნო ჩვენი აზრი, მაგრამ მიიღო სასტიკი უარი.

14 თებერვალს ზარბაზნების გრიალი უფრო მოახლოვდა. 15 თებერვალს შემჩნეული იქმნა ჩვენი ნაპირიდან მტრის მრავალი ქვეითი და ცხენოსანი კოლონები, რომლებიც მიიმართებოდენ წითელ ხიდისკენ. ფოილოს ხიდესთანაც გამოჩნდენ ახალი ჯარის ნაწილები. შემჩნეული იქმნა, რომ მტერმა სამ ადგილას ბატარეები დააყენა და სხვა.

ღლისით ჩვენ განგებ არავითარი ჯარის გადაჯგუფება არ მოგვიხდენია. შეღამდა თუ არა მე-2 იმერეთის ათასეულმა დაიკავა ყველა სანგრები და მოემზადა მტრის შესახვედრად. საღამოს 7 საათზე ნაპირის მზვერავებმა შემატყობინეს: «მტრის ცხენოსანი ჯარი ფონების ძიებაშია»-ო და სხვა. კოლონის უფროსი დაელაპარაკა გენ. ოდიშელიძეს, აუხსნა მდგომარეობა და განუცხადა: მტერი ამეღამ აუცილებლად გადმოვა შეტევაზე და ნება მოგვეცით ხიდი ავაფეთქოთო და სხ. (ხიდის აფეთქების ნებართვა უნდა მიგვეღო თვით მთავარ სარდლიდან—ასეთი იყო ბრძანება). გენ. ოდიშელიძემ გვიპასუხა: «ჩვენ ვიმყოფებით მეგობრულ განწყობილებაში საბჭოთა რუსეთთან. დაუშვებელია ჩვენი მხრიდან რამე მტრული მოქმედება მათ მიმართ. ერიდეთ პროვოკაციას და სხვა».

ამ პასუხმა ჩვენ არ დაგვაკმაყოფილა და მე გადავწყვიტე დაველაპარაკებოდი ვალიკო ჯუღელს და გამეფრთხილებია ის რომ ჩვენ ხიდს მაინც ავაფეთქებთ თუ მტერი გადმოვიდა შეტევაზე და ამით შემდეგში პასუხისმგებლობა მაინც შემსუბუქებული გვექნება მეთქი. ჯუღელი მოვიდა ტელეფონთან. მე აუხსენი მას აქაური მდგომარეობა და მთავარსარდლის პასუხიც გადავეცი. მან მიპასუხა: «თუ წითლები გადმოვიდეს შეტევაზე ხიდი ააფეთქეთ. პასუხისმგებლობას მე ვიღებ ჩემ თავზეო». ამის შემდეგ პოლკ. კოდუა და მე შეუდექით თადარიგს: ხიდის თავის დაცვა ჩავაბარე მე-3 ასეულის უფროსს მამაც კაპიტ. იოს. ბერაძეს (მესამე ასეული შემდგარი იყო ხონის რაიონის გვარდიელებიდან). უბრძანე რელსების აყრა და გადავეცი სხვა განკარგულებანი. შემდეგ დავიბარე საპიორის ოფიცერი ლეიტ. ჩ... და უბრძანე როგორც სროლა ატყდებოდა ხიდი აეფეთქებია და სხვა. დროგამოშვებით ხიდს და სხვა სანგრებს მთელი ღამის განმავლობაში ვათვალიერებდი. უკანასკნელად ხიდთან ვიყავი დილის 5 საათზე. ყველაფერი წესრიგზე იყო. გათენებისას, 6 საათზე, უეცრად, მტრის რამოდენიმე ბატარეიამ ყუმბარები დაგვიშინა. მტრის არტილერიამ ამოიღო ნიშანში სად. სალ-ოღლში მდგომი ვაგონები (ბატალიონი ცხოვრობდა ჩვეულებრივათ ვაგონებში) იმ განზრახვით რომ არევ-დარევა შეეტანა ჩვენ რიგებში. მაგრამ ვაგონებში არავინ იყო, ვინაიდან ბატალიონი უკვე მთელი ღამე სანგრებში იყო ჩასაფრებული. არტილერიის ცეცხლის გაჩენამდე—მტრის გუშაგებმა შუა ხიდზე მდგომ ჩვენ გუშაგების პირდაპირ წამოიწიეს წინ ვითომ და პაპიროსის ცეცხლის მოსაკიდებლად. გვარდიელებმა შესძახეს არ წამოიწიოთ წინ თუ არა გესვრითო. არ დაესრულებიათ ეს წინადადება რომ იგრიალა რუსების «ურამ». გუშაგებმა ერთი გასროლა მოასწრეს და გამოვარდენ უკან ჩვენ ნაპირას. ხიდის თავში მდგომი ჩვენი ტყვიამფრქვევი აკაკანდა და მას აქვე ჩაწოლილ ნახევარ ასეულის შაშხანას ცეცხლი დაემატა. ამავე დროს აგრიალდა ზარბაზნები. მიუხედავათ ჩვენი ცეცხლისა და ბევრ ზიანისა, მტერი გაშმაგებული მორბოდა ხიდზე (ჯერ კიდევ ბნელოდა) და მოაღწია ხიდის თავამდი. კაპიტან ბერაძე თავისი ნახევარი ასეულით შეება მტერს ხელჩართულ ბრძოლაში. ამავე დროს ჩვენმა მძიმე ტყვიამფრქვევებმა სანგრებიდან გააჩინეს ცეცხლი ხიდზე: ხიდის თავთან აგერ 7-8 წუთი გაშმაგებული ბრძოლაა და ხიდი კი არ ფეთქდება. სასწრაფოთ მოვამზადე მოწინავე პოზიციის გვარდიელები, რომ გადავსულიყავი კაპ. ბერაძის დასახმარებლად და ხიდი ამეფეთქებია, რომ ამ დროს ავარდა ცაში კომლი, შემდეგ ცეცხლი და მოგვესმა აფეთქება. რამ დააგვიანა ხიდის აფეთქება? თანახმათ კაპ. ბერაძის პატაკისა. საპიორთა ჯარის კაცების და გვარდიელების ჩვენებისა—საპიორთა ოფიცერი ლეიტ. ჩ... თავის ადგილას არ აღმოჩნდა. მიეტოვებია ბლინდაჟი, დაბრუნებულა თავის ვაგონში და დაუძინია. ბრძოლის ხმაური მას არ «გაუგონია». მის ვაგონში შევარდნილა საპიორი ჯარის კაცები და გვარდიელები, გაუღვიძებიათ და მოუთხოვიათ—მტერი მოდის ხიდი ააფეთქეო. მას დაუწყია ბლინდაჟის კარების კლიტის ძებნა, რომელიც ვერ «უნახავს» და განუცხადებია—«დამეკარგაო». ამ დროს საპიორის ჯარის კაცს დაუძახია: «გვარდიელებო მომყევით, კარები ჩავტეხოთ და მე ავაფეთქებ ხიდსო». მას გაყვა რამოდენიმე გვარდიელი და ჯარის კაცი. თოფის კონდახებით ჩაამტვრიეს ბლინდაჟის კარები და სათადარიგო საპიორის ჯარის კაცმა ააფეთქა ხიდი. ხიდზე იმ დროს მყოფი მტრის კოლონა განადგურებული იქმნა. ჩვენ ნაპირზე გადმოსული რუსების გუნდი კაპიტ. ბერაძემ (24 წელში —აგვისტოს აჯანყებისას დახვრიტეს) ნაწილობრივად გაანადგურა, ნაწილობრივათ ტყვეთ წამოიყვანა, მხოლოთ მტრის რამოდენიმე ათეულმა ჯარის კაცმა თავი შეაფარა ხიდის თავს, რომელიც ჩვენებისთვის მიუვალი იყო მტრის ძლიერი ცეცხლის გამო.

როცა გათენდა დავინახეთ, რომ ხიდი აფეთქებულია არა საკმაოთ. მტრის ჯარის კაცები ცდილობდენ გადარჩენილ ხიდის ჩონჩხზე თითოობლივათ ჩვენკენ გადმოსვლას. მაგრამ ჩვენი სანგრებიდან გაჩენილმა ცეცხლმა ისინი მტკვარში გადაყარა. მთელი დღის განმავლობაში მოწინავე პოზიციის სანგრებს ხიდი და მეორე ნაპირი თავის ცეცხლის ქვეშ ქონდა. მტრის არტილერიამაც გადმოიტანა ცეცხლი ჩვენ სანგრებზე და მთელი დღის განმავლობაში მათ სცემდა. ჩვენი ერთი ბატარეა მათ პასუხს აძლევდა. დილის 9 საათზე უცებ სალ-ოღლთან გამოჩნდა ჩვენი ჯავშ. მატ. № 4. ის იყო გაშლილ მინდორზე. მტრის ბატარეამ და ჯავშნიანმა ცეცხლი ჩვენს ჯავშნიანზე გადმოიტანა. ალფესი გოგუაძემ თავის ჯავშნოსნიდან გახსნა ცეცხლი იმ ბატარეიაზე, რომელიც სოფ. სალ-ოღლთან იდგა და ჩვენს პოზიციებს სცემდა. მტრის ბატარეა ჩაჩუმებული იქმნა (ამის შემდეგ ამ ბატარეას მთელი დღის განმავლობაში ჩვენთვის ერთი ყუმბარა არ უსვრია). მტრის სხვა ბატარეებმა და ჯავშნოსნებმა გადმოიტანეს ცეცხლი მთლიანათ ჩვენს ჯავშნოსანზე. მტრის ყუმბარები ჩვენი ჯავშნოსნის სულ ახლო სკდებოდა. ჩვენ გვეგონა სადაცაა ჩვენ ჯავშნოსანს ეხლავე გაანადგურებენ, მაგრამ ჩვენი ჯავშნიანი ამ ცეცხლიდან დაუზიანებელი გამოვიდა. დილით სოფ. კრახ-კესამანთან ფონით გადმოვიდა მტრის ცხენოსანი ჯარი. ეს ცხენოსანი ჯარი მოექცა ჩვენ მოწინავე პოზიციის ფრთაზე, ჩამოქვეითდენ და იერიში მოიტანეს პოზიციის მარცხენა ფრთაზე. ჩვენი საარტილერიო ცეცხლით, ტყვიამფრქვევების და შაშხანას ცეცხლით ისინი უკუქცეული იქმნენ. ამის შემდეგ ისინი გადავიდენ თავის ნაპირას. ნაშუადღევს ხელ ახლა გადმოვიდენ სხვადასხვა ფონით და დაიწყეს მოქმედება ჩვენ მთავარ პოზიციის მარცხენა ფრთაზე. ყოველივე მათი ცდა უნაყოფო დარჩა. აქ მოხდა სამაგალითო შეჯახება ჩვენი ქვეითა ჯგუფების მტრის ცხენოსნებთან, რომლის აღწერა უადგილობის გამო არ შეგვიძლია. მტრის ცხენოსანი ბრიგადა დამარცხებული ხელახლა უკან დაბრუნდა. მტერმა დაგვიტოვა დაჭრილები, მოკლულები, ათეული დაჭრილი და საღი ცხენები. ცოტა ხნის შემდეგ ფოილოს მთელ სექტორში გაჩაღდა საარტილერიო დუელი. მტრის არტილერია გაშმაგებული ეძებდა ჩვენ ბატარეიას, მაგრამ ამაოთ. მთელი დღის განმავლობაში ერთი წუთით ვერ შეაჩერეს ჩვენი ბატარეების მოქმედება.

ამავე დღეს, ე. ი. 16 თებერვალს, დილით მტერმა სცადა გადმოსულიყო შიხილოდან ფონით. მათ დახვდა პოლკ. კოდუა ზუგდიდის გვარდიით და გადარეკა. ამის შემდეგ მტერს ამ მიმართულებით გადმოსვლა არ განუმეორებია.

ნაშუადღევის 3 საათზე კოლონის უფროსი მატყობინებს, რომ მიღებულია ბრძანება უკან დახევის თფილისთანო. ღამის 10 საათზე მე-2 იმერეთის ათასეულმა იწყო დახევა უკან სალაშქრო წესით.

საინტერესოა ნაამბობი წითელ მეთაურისა. ვინმე ზუნისა, რომელსაც მონაწილეობა მიუღია ფოილოს ოპერაციებში ჩვენ წინააღმდეგ და რომელიც მოთავსებულია საბჭოთა მხედრულ ჟურნალში: «მოტორიზაცია და მეხანიზაცია მუშ., გლეხ., წითელ არმიისა»—სათაურით: «მოქმედება მე-11 წითელ არმიის ჯავშნიანი ძალების საქართველოს განთავისუფლების ბრძოლებში». გვ. 18-21, თებერ. 1936 წელი.

«... აზერბაიჯანიდან საქართველოში—სწერს ის —მიდიოდა ყველაზე უახლოესი ორი გზა მენშევიკურ ცენტრთან—თფილისთან, რომელზედაც დარტყმა წყვეტდა მთლიანათ ომის ბედს. პირველი გზა იყო რკინის გზით აქსტაფა-ფოილო. მეორე იყო გზატკეცილი ყაზახიდან—წითელი ხიდი. ორივე ამ მიმართულებით შემტევ ჯარში შედიოდა შემდეგი ჯავშნოსანი ნაწილები: რკინის გზაზე 5 ჯავშნიანი მატარებელი (№ 7, 94, 5, 77 და 61) და სატანკო რაზმი № 2 (ნელ მავალი რიკარდოები) და გზატკეცილზე ჯავშნიანი საავტომობილო რაზმი № 55, რომელიც დაემორჩილა ამხ. ველიკანოვს, მე-20 მსროლელ დივიზიის უფროსს წითელი ხიდის მიმართულებით.

ღამით 16 თებერვალს 1921 წ. საავტომობილო ჯავშნიანმა რაზმა № 55 ბრწყინვალეთ შეასრულა თავისი ამოცანა დანაღმული (?) გზატკეცილის ხიდი (წითელი. ა. კ.) ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ ხელში ჩაიგდო... ჯავშნიანების ჯგუფს, რომელიც მოქმედებდა ფოილოს მიმართულებით ელობებოდა თავის გზაზე რკინის გზის ოთხთაღიანი ხიდი, რომელიც გადებული იყო ჩქარ მდინარე მტკვარზედ

ვინაიდან ერთათ ერთი საშვალება ამ მიმართულებით იყო ეს ხიდი, ამიტომ მთელი ყურადღება მიქცეული იქმნა ამ ვიწრო დეფილეზე. ქართველ მენშევიკებმა (!) წინდაწინ გაითვალისწინეს ეს და განსაკუთრებულ ყურადღებით დანაღმეს ხიდი და ასაფეთქებელი მავთულები მოწყობილიყო შორს მინდორში, სადაც ბლინდაჟში მუდმივ მორიგეობდა ოფიცერი-ამფეთქებელი. იმ შემთხვევაში თუ არ აფეთქდებოდა, ხიდი მოწყობილი იყო მოსაგერიებლად; გაღმა მდ. მტკვარის ნაპირი მოფენილი იყო სანგრებით რამოდენიმე წყებათ მავთულიანი ხლართებით (ეს გადამეტებულია. არავითარი მავთულიანი ხლართები არ გვქონებია. აკ. კვ.), ხიდთან რკინის გზის რელსები აყრილი იყო, ხიდზე გადებული იყო 12 დიუმიანი კვადრატიული ბელტი, მიჯაჭული ხიდის გვერდებზე. გარდა ამისა გადასავალს ბლინდაჟში იდგა მუდმივ გატენილი ხანჯლის ქვემეხი (გადამეტებულია—ასეთი არ გვქონია. აკ. კვ.) და ტყვიამფრქვევი. დარჩეული გვარდიელები იცავდენ ხიდს და მათი გუშაგები შუა ხიდზე იდგა.

მებრძოლ უბნის უფროსმა მოგვცა ჯავშნიან ჯგუფს შემდეგი ამოცანა: გადასვლა ხიდზე ბრძოლით, გზის შეკეთება და მე-26 მსროლელ ბრიგადასთან ერთათ მტრის სანგრების აღება (ალბათ წითლების სარდლობა დარწმუნებული იყო, რომ ხიდი არ აფეთქდებოდა. ა. კ.). იერიშის სიგნალათ დანიშნული იყო პროჟექტორის შუქი ჯავშნ. მატარებ. № 94 6 საათზე 16 თებერვალს.

ყველა ჯავშნოსნები უნდა დაჯგუფებულიყო იერიშისათვის ხიდზე 5 ს. 30 წ. ფაქტიურად კი თავის დროზე მოვიდა მხოლოდ ჯავშნოსანი № 7, სხვებმა კი მოაღწიეს მხოლოდ სადგ. ფოილოს. მიზეზი დაგვიანების იყო ის რომ შუა ეშალონის მაშინისტმა უკანასკნელ მომენტში გზაში უარი თქვა ორთქლმავალის წაყვანაზე და შეეცადა გაქცევას, მაგრამ შეპყრობილ იქნა.

დილის 6 საათზე ჯავშ. მატარ. № 94, რომელიც მოვიდა ხიდთან ვერ მიცა დანიშნული სიგნალი, ვინაიდან პროჟექტორს მოტორი გაფუჭებოდა (ბრძოლის პროცესში პროჟექტორის დახმარებით მტრის არტილერია ცემდა ჩვენ სანგრებს ფოილოს მთაგრეხილზე. ა. კ.). მე-26 ბრიგადის უფროსის ბრძანებით ჯავშნიანმა № 7 დაუშინა ყუმბარები მტრის ნაპირს. მე-26 ბრიგადის ათასეულები და ჯავშნიანი მატარებელი ეძებდენ ხიდს. იმ მომენტში, როდესაც მოწინავე მებრძოლებმა გადაირბინეს ხიდი და შეებრძოლენ მენშევიკებს (!!), მოისმა საშინელი ზედიზედ სამი აფეთქება და მაღლა ცაში ავარდა სვეტები კვამლის, ცეცხლის და წყლის. ნავთის სადენის აფეთქებულ მილიდან ამოხეთქილმა ნავთის შადრევანმა ცეცხლის შხეფებით მოიცო ხიდის ნაშთები, ჯავშნიანი მატარებელი და გადარჩენილი ჯარის კაცები.

გათენებისას ჩვენ დავინახეთ ხიდის დანგრეული ორი თაღი და დანგრეულ ხიდის რკინის ნაწილს მიბღაუჭებული ჩვენი მებრძოლები, რომელიც ცდილობდენ თავის გადარჩენას. დახოცილები და დაჭრილები აფეთქებამ გადაყარა წყალში, ამიტომ ჩვენი ნაპირიდან მებრძოლების ჯგუფი ცურვით ცდილობდენ მათ გამოყვანას და გადარჩენას. ჩვენი ქვეითა ჯარი (მე-26 მსრ. ბრიგადა) და სადესანტო რაზმი ნაწილი ცურვით, ნაწილი ხიდის ჩონჩხის საშვალებით ცდილობდენ მეორე ნაპირზე გადასვლას მიუხედავათ სახალხო გვარდიელების ჯოჯოხეთურ ცეცხლისა. მთელი დღე, 16 თებერვალს, ორი ჩვენი ჯავშნიანი მატარებელი და მე-9 დივიზიის საველე ბატარიები, ტყვამფრქვევები სცემდენ მტერს, რომელიც არაერთხელ გადმოვიდა კონტრ-იერიშზე.

სახალხო გვარდიელები გამოვიდენ თუ არა ცეცხლიდან ჯავშნიან მატარებლისა, აძვრენ თავის სანგრებში და ტყვიიმფრქვევების და შაშხანას ცეცხლით შეაჩერეს მოძრაობა ხიდის ირგვლივ.

16 თებერვალს, როდესაც კარგად დაღამდა, შეჩერდა ტყვიამფრქვევების ცეცხლი ხიდზე, მაშინ მოგვეცა საშვალება დაგვეწყო აფეთქებულ ხიდის დათვალიერება. ღამე მოვიდა რკინის გზის დივიზიონი და მეორე დღეს შეუდექით გაცხარებულ მუშაობას...

დროებითი ხიდი იქმნა აშენებული 23 თებერვალს დილის 2 საათზე. 23 თებერვალს 16 საათზე მთელი ჯავშნოსანთა ჯგუფი თავმოყრილი იქმნა სად. ყარაიაზში. საღამოს 23 თებერვალს მივიღეთ ბრძანება თფილისის იერიშისა. ჯავშნოსანთა ჯგუფი დაემორჩილა მე-9 მსროლ. დივიზიის უფროს ამხ. კუიბიშევს ოპერატიულ დარგში. ჩვენ ჯგუფს მიეცა ამოცანა: უზრუნველყოს მარცხენა ფრთა მე 9 მსრ. დივიზიის და შემდეგ თფილისის ბრძოლით აღება»...

ასეთია მოკლეთ ფოილოს ბრძოლის აღწერა მტრის მიერ.

როგორ მოვიდენ თფილისთან და რა მოხდა იქ,—ამაზე შემდეგ.

აკ. კვიტაიშვილი.

თულ სულიერ განძეულობის სალაროში, იქ ვერ დაისაკუთრებს ვერც ერთ კუნჭულსაც...

დასკვნა.

ქართველი ერი თავს იცავს კულტურულ ფრონტზე. ყველა დაპყრობილი ერი ასე იქცეოდა. ქართული მუსიკალური ხელოვნების თუ საერთო ლიტერატურის ზოგიერთი უდავო მიღწევანი შედეგია ერის ასეულ წელთა მანძილზე დაგროვილ სულიერ და ეროვნულ განვითარების. ბოლშევიკები ზედმეტი ბარგი და ხელის შემშლელნი არიან მის სავალ გზაზე, მისი სულიერი მისწრაფება და ლტოლვა რომ სურთ დაიმორჩილონ და მისცენ თავიანთ საკუთარ თეორიებიდან გამომდინარე მიმართების გეზი. მან შესძლო კიდეც თავისუფლების ალკვეთის შემდეგ, სალიტერატურო ასპარეზზე კალმოსნების პოლიტიკურ მიზნით გამოყენება. უდიდეს დადებით მოვლენათ ჩაითვლება ისტორიულ-კულტურულ-მეცნიერულ კვლევა-ძიების მრავალი ცდები, ისტორიულ რომანთა შექმნა, სახალხო სიტყვიერების გაძლიერებით მრავალი ნაწარმოები შევიდა და გაამდიდრა ჩვენი ლიტერატურა. მაგრამ ყოველგვარ თავისუფალ შემოქმედებას კარი დახშული აქვს და შეუძლებელია რაიმე ღირშესანიშნავ ნაყოფის მოტანა. აქ ითხრება ორმო, მარტო წარსულით კვება მოძრავ ეროვნულ მაჯისცემას არ ძალუძს. საჭიროა თავისუფალი შემოქმედება, მიმდინარე ეროვნული სულის სინამდვილის გარეთ გამოტანა. ამისთვის მოწოდებული იყო ის თაობა, რომლის უილაჯობას ასე დასტირის ს. აბაშელი. მათ აირჩიეს გზა თანამგზავრობის, თანამშრომლობის. მომავალი დააფასებს როგორც მათ დადებით ისე უარყოფით ნამოქმედარს.

მეორეს მხრივ ერის პოლიტიკურ-ეროვნულ ჩაგვრის ეპოქა მოითხოვს ერის ტკივილებისგან გამომდინარე თემათა დამუშავებას, ეროვნულ ბრძოლის პოეზიას, მისი კვნესის, ვაების და იმედის—ამღერებას.

ჩვენ ღრმათ გვწამს, ქართველი ხალხის გულში, მის მალულ კუთხეში ნელ-ნელა მღერის ერის დღევანდელი ვითარების ამსახველი ჩანგი.

ქართველი ერი, კულტურულ ფრონტზე კვლავ გააგრძელებს სხვადასხვა საშვალებით საკუთარ კულტურის მფარველობას და გაუმკლავდება «კომსომოლა» კალმოსნების შემოსევას.

ლეისპირელი.

* * *

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა და პოლიტიკა

საპარლამენტო არჩევნები იაპონიაში.

გასული წლის საპარლამენტო არჩევნებში იაპონიის სოციალდემოკრატიას დიდი გამარჯვება ერგო. წინანდელ 2 დეპუტატის მაგიერ მან პარლამენტში 18 წარმომადგენელი გაიყვანა და 650.000 ხმა მიიღო. წელს აპრილის დამლევ რიცხვებში იაპონელ სოციალისტების ძალა კი წინანდელთან შედარებით კიდევ ორჯერ მეტი აღმოჩნდა. მათ პარლამენტში დღეს 37 დეპუტატი ყავთ და არჩევნებში 1.011.802 ხმა მიიღეს. სოციალდემოკრატია ეხლა იაპონიაში თვალსაჩინო ძალას წარმოადგენს და მუშათა კლასზე დიდი გავლენა აქვს.

ფინლიანდიის სოციალდემოკრატია.

ფინლიანდიაში დღეს კოალიციური მთავრობაა, რომელშიდაც შედის 5 სოც.-დემოკრატი, 5 წარმომადგენელი გლეხთა კავშირისა და 2 პროგრესისტების პარტიისა.

ეს მესამეჯერ არის, რომ ფინლიანდიის სოციალდემოკრატია მთავრობაში მონაწილეობას იღებს. პირველჯერ 1917 წლის მარტში კოალიციურ მთავრობაში ხელმძღვანელი როლი სოც.-დემოკრატებს ეკუთვნოდა. ათი წლის შემდეგ, 1927 წელში, სოციალისტების ძალამ ფინლიანდიაში ისე თვალსაჩინოთ იმატა, რომ მათ წმინდა სოციალისტური მთავრობაც კი შეადგინეს, მაგრამ მათ პარლამენტში უმრავლესობა არ ყოლიათ და რაიმე ღრმა და დიდი რეფორმების გატარება ვერ შესძლეს. და დღეს, კიდევ მეორე ათი წლის შემდეგ, სოციალისტები ხელახლათ შედიან მთავრობაში. ამ 5-6 წლის წინეთ ფინლიანდიაში ადგილი ქონდა მძლავრ ფაშისტურ მოძრაობას («ლაპპოს» სახელწოდებით), რომელიც ფიზიკურათ ებრძოდა მუშათა კლასს და მას სდევნიდა. ფინლიანდიის მუშებმა რეაქციონერებს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს და მათთან ბრძოლაში თანდათან მეტ თანამგრძნობთ იძენდენ.

1936 წლის საპარლამენტო არჩევნებში ფინლიანდიის სოციალისტებს თვალსაჩინო გამარჯვება ერგოთ, მაგრამ მათ მთავრობაში დაშვებაზე უარი სთქვა ფინლიანდიის მაშინდელ პრეზიდენტმა კონსერვატორ სვინჰუფ ვუდმა. წელს ფინლიანდიის პრეზიდენტათ არჩეულ იქნა კალლიო—ლიდერი გლეხთა პარტიისა, რომელთანაც დღეს თანამშრომლობს სოც.-დემოკრატია, როგორც პარლამენტში, ისე მთავრობაში. მთავრობის თავმჯდომარე პროგრესისტი კაჟანდერია.

სოციალისტები და მუნიციპალური არჩევნები.

გასულ მარტში ლონდონის მუნიციპალური არჩევნები ტრავაისტების დიდი გამარჯვებით დამთავრდა. მიუხედავათ იმისა, რომ კონსერვატორებმა თავიანთი ძლიერი აპარატი აამუშავეს, ასობით დეპუტატები საარჩევნო პროპაგანდაში ჩააბეს და მუშათა პარტიას მძლავრათ ეძგერენ, ტრავაისტებმა არა თუ ეს თავდასხმები მოიგერიეს, არამედ ლონდონის თვითმართველობაში დიდი უმრავლესობა გაიყვანეს. დღეს იქ მათ 75 წარმომადგენელი ყავთ, კონსერვატორებს კი მხოლოთ 49. ტრავაისტების ფრაქციას ჰერბერტ მორისონი ხელმძღვანელობს.

—

მუნიციპალურ არჩევნებს მარტში ადგილი ქონდა აგრეთვე დანიაში. ამ არჩევნებმა სავსებით დაადასტურა ის შთაბეჭდილება, რომელიც გასულ წლებში მოახდინა იქ საპარლამენტო და სენატის არჩევნებმა: მთელ ფრონტზე სოც. დემოკრატიის გამარჯვება და მისი ძალების განმტკიცება.

დანიის მთავარ ქალაქში კოპენჰაგენში 20 წელია, რაც სოციალდემოკრატებს უმრავლესობა ყავს.

ეხლანდელ არჩევნების წინ სოციალდემოკრატებს უმრავლესობა ყავდათ 33 სხვადასხვა ქალაქშიდაც. ეხლა კი მათ უმრავლესობა 18 ახალ ქალაქში შეიძინეს და ამიერიდან 51 ქალაქის მართვაგამგეობა მათ ხელში იქნება.

ნაციონალ-სოციალისტებს არც ერთი ადგილი არ მიუღიათ. კომუნისტებს მთელ დანიის თვითმართველობებში 5 მანდატი აქვთ, ორი კოპენჰაგენში და თითო-თითო სამ სხვა ქალაქში.

* * *

შეცდომის გასწორება

«ბრძ. ხმა»-ს, № 70-ში მოთავსებულ წერილში «ჩვენი უკანასკნელი ომი», შეცდომით დაბეჭდილია:

1) ლი კოიანი, უნდა იყოს: ლია-ოიანი.

2) სამობილიზაციო აპარატს მოეხდინა ჯარების კონცენტრაცია. უნდა იყოს: სამობილიზაციო აპარატს ჩაეტარებია მობილიზაცია.

3) ხელსაყრელ ოპერაციულ მდგომარეობით. უნდა იყოს: ხელსაყრელ ოპერატიულ მდგომარეობით.

4) პოლკ. ძაძამიამ. უნდა იყოს: «პოლკ. ძაგანიამ.

---

*) კარგია ამ გმირის ვინაობა გამოირკვეოდეს, უეჭველია ქართველი იყო. ა. კ.

Leuville-sur-Orge. — *Imprimerie de Leuville*

Le Gérant : René Toussaint.